



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

(საჩივარი N 72508/13)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2016 წლის 14 ივნისი

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში. წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვედგაროს სარედაქციო ხასიათის ცვლილებებს.

საქმეზე მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეოთხე სექცია), პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ანდრაშ შაიო - თავმჯდომარე,

ვინსენტ ა. დე გაეტანო,

ბოსტიან მ. ზუპანჩიჩი,

ნონა წოწორია,

პაულო პინტო დე ალბუქურქე,

ეგიდიუს კურისი,

იულია მოტოსი- მოსამართლეები,

და მარიალენა ცირლი - სექციის განმწესრიგებელი,

2016 წლის 14 ივნისს გამართული დახურული თათბირის შემდეგ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

პროცედურა

1.საქმის წარმოება დაიწყო საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი ივანე მერაბიშვილის („მომჩივანი“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს წინააღმდეგ 2013 წლის 20 ნოემბერს სასამართლოში შეტანილი (N 72508/13) საჩივრის საფუძველზე.

2.მომჩივნებს წარმოადგენდნენ ბ-ნი ფ. ლიჩი და ბ-ნი ო. კახიძე, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ლონდონსა და თბილისში ახორციელებენ. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა ლ. მესხორაძე, სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან.

3.მომჩივანი დავობდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფის საწინააღმდეგოდ, არ იყო რეგულირებული მკაფიო

სამართლებრივი დებულებებით და დაუსაბუთებელი იყო. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფზე დაყრდნობით, იგი ასევე დავობდა, რომ ეროვნულმა სასამართლომ ვერ უზრუნველყო პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ მისი შუამდგომლობის სათანადო სასამართლო განხილვა, ვინაიდან ამ უკანასკნელმა არ მიუთითა 2013 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების მიღების მიზეზები. საბოლოოდ, კონვენციის მე-18 მუხლის საფუძველზე, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება და შემდგომი პატიმრობა ემსახურებოდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან მის ჩამოშორებას.

4. 2014 წლის 2 აპრილს საჩივარი მთავრობას გადაეგზავნა.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი 1968 წელს დაიბადა და ამჟამად თბილისშია დაპატიმრებული.

A. ზოგადი ინფორმაცია

6. 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნებამდე, რომელსაც შედეგად ხელისუფლების შეცვლა მოყვა, მომჩივანი, იმდროინდელი მმართველი პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ), ერთ-ერთი ლიდერი, 2012 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში იკავებდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობას. მანამდე, 2005 წლიდან 2012 წლამდე, ის იყო შინაგან საქმეთა მინისტრი.

7. მას შემდეგ, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მოიგო კოალიცია ქართულმა ოცნებამ და ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, მომჩივანი არჩეულ იქნა ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური პარტიის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივნად.

B. 2012 წლის 30 ნოემბრის ინციდენტი

8. 2012 წლის 1-ლი ნოემბრისა და 2013 წლის 21 მაისის პერიოდში, როდესაც აპლიკანტს ბრალი წაეყენა სისხლის სამართლის დანაშაულებში და დაკავებულ იქნა (ქვემოთ, იხ. მე-17 პარაგრაფი), იგი საქართველოდან საქმიანი ვიზიტით გაემგზავრა ხუთ სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა გეგმისამებრ ყოველთვის ბრუნდებოდა.

9. 2012 წლის 30 ნოემბერს, როდესაც აპლიკანტი საქართველოდან სომხეთში ევროპის სახალხო პარტიის საერთაშორისო სემინარზე დასასწრებად მიემგზავრებოდა, მან

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სავარაუდოდ ყალბი პასპორტის გამოყენებით საქართველოს საზღვრის გადაკვეთა სცადა.

10. შესაბამის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში პასპორტის რეგისტრაციის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ოფიცერმა, ზ.დ.-მ., შეუსაბამობა შენიშნა, ვინაიდან პასპორტის სურათი ემთხვეოდა მომჩივნის გარეგნობას, თუმცა სამგზავრო დოკუმენტში არსებობდა განსხვავებული მონაცემები, მათ შორის სახელ „ლევან მაისურაძეთან“ დაკავშირებით, რომლებიც შეუსაბამობაში იყო აპლიკანტის ვინაობის შესახებ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებულ ინფორმაციასთან. პოლიციის ოფიცერმა პრობლემატური პასპორტი აპლიკანტის პირად თანაშემწეს დაუბრუნა და დაზუსტება მოთხოვა. თანაშემწემ მომჩივნის სამსახურიდან დაუყოვნებლივ მოიტანა სხვა პასპორტი, რომელიც გაცემული იყო აპლიკანტის სახელზე და ემთხვეოდა ყველა სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემს. აღნიშნული სამგზავრო დოკუმენტის შემოწმების შემდეგ, აპლიკანტს მიეცა საქართველოს საზღვრის გადაკვეთის ნებართვა.

11. იმავე დღეს, 2012 წლის 30 ნოემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციამ ზემოთ ხსენებულ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. სასაზღვრო პოლიციის უფროსი დაუყოვნებლივ მივიდა თბილისის აეროპორტში, რათა დაეკითხა ოფიცერი, ზ.დ., რომელმაც, მომჩივნის მფლობელობაში სავარაუდოდ ყალბი პასპორტი აღმოაჩინა. როგორც შემდგომში გამოძიებითა და რამდენიმე მოწმის ჩვენებით დადგინდა, აეროპორტში ყოფნის დროს სასაზღვრო პოლიციის უფროსს მობილურ ტელეფონზე მოულოდნელად მომჩივანმა დაურეკა. ამ უკანასკნელმა საკუთარი სტატუსისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს იერარქიის ფარგლებში ხანგრძლივი პირადი კავშირების გამოყენებით უფროსზე ზეწოლის განხორციელება სცადა. მომჩივანი მოითხოვდა, რომ პასპორტთან დაკავშირებული ინციდენტის შესახებ გამოძიება არ დაწყებულიყო და ოფიცერი, ზ.დ., მოწმის სახით არ დაეკითხათ. სასაზღვრო პოლიციის უფროსის მიერ გამოძიებისთვის მიცემული შემდგომი განცხადებების თანახმად, მომჩივანმა სატელეფონო საუბრის დროს უცენზურო სიტყვები გამოიყენა და მიმართა კარიერული და პირადი მუქარის გზებს.

12. 2012 წლის 1-ელ და 7 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებმა ინციდენტთან დაკავშირებით დაკითხეს მომჩივანი, რომელმაც უარყო სასაზღვრო პოლიციისთვის „ლევან მაისურაძის“ სახელზე არსებული პასპორტის წარდგენა და განაცხადა, რომ იგი ფლობდა მხოლოდ ოთხ პასპორტს, რომელთაგან ორი ჩვეულებრივი და ორი დიპლომატიური სამგზავრო დოკუმენტი იყო, ყველა მის ნამდვილ სახელზე გაცემული.

C. საქმის წარმოება

13. 2012 წლის 13 დეკემბერს მომჩივნისა და კახეთის გუბერნატორის წინააღმდეგ დაიწყო ახალი სისხლის სამართლის საქმის წარმოება, მითვისება-გაფლანგვისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფუძველზე. ორივე მათგანი, ერთსა და იმავე დღეს, დროულად გამოცხადდა მთავარ პროკურატურაში, სადაც ისინი მოწმის სახით დაიკითხნენ.

14. 2013 წლის 18 იანვარს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში დაიწყო კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმის წარმოება სავარაუდოდ აპლიკანტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კიდევ ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით.

15. 2013 წლის 13 თებერვალს მომჩივანი და კახეთის გუბერნატორი მოწმის სახით დაიკითხნენ მეორე სისხლის სამართლის საქმის წარმოების კონტექსტში.

16. 2013 წლის 20 მაისს ზემოთ ხსენებული სამივე სისხლის სამართლის საქმის წარმოება (იხ. პარაგრაფები 11, 13 და 14) გაერთიანდა ერთ სისხლის სამართლის საქმედ.

17. 2013 წლის 21 მაისს მომჩივანი და კახეთის გუბერნატორი პროკურატურამ კიდევ ერთი დაკითხვისთვის დაიბარა. დაკითხვის ბოლოს ორივე დააკავეს.

18. აპლიკანტის დაკავება უკავშირდებოდა მის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვასთან (სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), სხვისი ქონების მითვისებასთან, (სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი), სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა (სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი) და სხვა პირის ბინის ხელშეუხებლობის დარღვევასთან (სისხლის საკართლის კოდექსის 160-ე მუხლი) დაკავშირებულ ექვს. როგორც შესაბამისი ჩანაწერით დადასტურდა, დაკავების განმახორციელებელმა ოფიცერმა აუხსნა მომჩივანს, რომელსაც თან ახლდა მის მიერ არჩეული ადვოკატი, მის წინააღმდეგ არსებული ზემოთ ხსენებული ბრალდებების არსი, ისევე როგორც მისი პროცედურული უფლებები. აპლიკანტს ასევე მოკლედ ეცნობა დაკავების მიზეზები, სახელდობრ, რომ არსებობდა რისკი იმისა, რომ მან, როგორც გავლენიანმა პიროვნებამ, რომელსაც წარსულში რამდენიმე მაღალი რანგის სახელმწიფო თანამდებობა ეკავა, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს გამოძიების განვითარებაზე; გარდა ამისა, საქართველოს საზღვრის ყალბი სამგზავრო

დოკუმენტის დატოვების წინა მცდელობის გათვალისწინებით, იგი შეიძლება მიმალვოდა მართლმაცულებას.

19. იმავე დღეს, 2013 წლის 21 მაისს, აპლიკანტის მეუღლემ დატოვა საქართველო. მომჩივნის ბინის სასამართლოს მიერ სანქცირებული ჩხრეკა მოგვიანებით, იმავე დღეს ჩატარდა; ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილ იქნა დიდი ოდენობის ნაღდი ფული (იხ. მომდევნო პარაგრაფი).

20. 2013 წლის 22 მაისს აპლიკანტის საქმეზე პასუხისმგებელმა პროკურორმა მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მომჩივნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად, პროკურორმა წარმოადგინდა იმ რისკის გამამყარებელი არგუმენტები, რომ აპლიკანტი მიიმალვოდა. ამგვარად, ვინაიდან აპლიკანტს ადრე ეკავა ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტები, მან ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ჩამოაყალიბა ფართო და ვრცელი პირადი კავშირები. მომჩივანი მის ნამდვილ სახელზე ფლობდა ორ მოქმედ დიპლომატიურ პასპორტს; აღნიშნული სამგზავრო დოკუმენტები მას შესაძლებლობას აძლევდა ნებისმიერ უცხო ქვეყანაში შესასვლელად გამარტივებული პროცედურებით, ისევე როგორც დიპლომატებისთვის გათვალისწინებული სხვა პრივილეგიებით ესარგებლა. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ აპლიკანტს ასევე ჰქონდა ყალბი პასპორტი (ზემოთ, იხ. მე-10 პარაგრაფი). გარდა ამისა, პროკურორის განცხადებით, ის ფაქტი, რომ მომჩივნის მეუღლემ, 2013 წლის 21 მაისს, მას შემდეგ რაც საგამოძიებო ორგანომ მომჩივანი დასაკითხად დაიბარა, ნაჩქარევად დატოვა საქართველო, ასევე წარმოშობდა ეჭვს, რომ აპლიკანტი შესაძლოა, მიზნად ისახავდეს შეუერთდეს მის მეუღლეს ქვეყნის გარეთ. პროკურორმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მომჩივნის ბინის ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა დიდი რაოდენობის ნაღდი ფული - 54, 200 ევრო (EUR), 33,100 დოლარი (USD, დაახლოებით 28,560 EUR) და 29,000 ლარი (GEL, დაახლოებით 11,270 EUR), რაც დამატებით აძლიერებდა ეჭვს, რომ აპლიკანტი ქვეყნიდან გაქცევისთვის ემზადებოდა.

21. პროკურორმა ასევე ჩამოთვალა არგუმენტები, რომელიც მხარს უჭერდა იმ მტკიცებას, რომ აპლიკანტი გამოძიებას ხელს შეუშლიდა. კიდევ ერთხელ, გამომდინარე იქედან, რომ მომჩივანს სხვადასხვა მაღალი რანგის სახელმწიფო თანამდებობები ეკავა, იგი ხელმძღვანელობდა და ზედამხედველობას უწევდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ არაერთ საჯარო მოხელეს. იმის მხედველობაში მიღებით, რომ სადავო დანაშაულები მჭიდრო კავშირში იყო საჯარო სამსახურში აპლიკანტის მიერ განხორციელებულ წარსულ საქმიანობასთან, ასევე იმ

ფაქტის გათვალისწინებით, რომ მნიშვნელოვანი მოწმეების უმრავლესობა მისი იერარქიული სუბორდინაციის ქვეშ მუშაობდა, წარმოქმნიდა კარგად დასაბუთებულ რისკს იმისა, რომ აპლიკანტს შესაძლოა ზეგავლენა მოეხდინა აღნიშნულ პირებზე. პროკურორის არგუმენტი დადასტურდა 2012 წლის 30 ნოემბრის ინციდენტზე მითითებით, როდესაც მომჩივანმა მოახერხა სასაზღვრო პოლიციის უფროსის მობილური ტელეფონის ნომრის მოძიება, დარეკვა და მასზე უხეში და უხამსი ფორმით, კარიერული და პირადი მუქარის გამოყენებით, ზეწოლის განხორციელება (ზემოთ, იხ. პარაგრაფი 11).

22. 2013 წლის 22 მაისის განჩინებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, მას შემდეგ რაც ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების მონაწილეობით ზეპირი მოსმენა გამართა, გადაწყვიტა კახეთის გუბერნატორის გათავისუფლება გირაოს სანაცვლოდ, რომლის ოდენობად განისაზღვრა 20,000 ლარი (დაახლოებით 7,770 EUR), ხოლო აპლიკანტის - პატიმრობაში დატოვება. გადაწყვეტილების დასაბუთებაში პატიმრობის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.

23. რაც შეეხება პატიმრობის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის დამადასტურებელ საფუძვლებს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განაცხადა, რომ მან გაიზიარა პირის მიმალვასა და გამოძიებისთვის ხელის შეშლასთან დაკავშირებული ბრალმდებლის არგუმენტები (ზემოთ, იხ. პარაგრაფები 20 და 21). თუმცა, საქალაქო სასამართლომ აღიარა დაკითხვებზე გამოცხადებით აპლიკანტის მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობა, მან განაცხადა, რომ, მიუხედავად ამისა, აპლიკანტს, გამოძიების პროცესის ხელშესაშლელად, შეეძლო გამოეყენებინა მისი უპირატესი სოციალური მდგომარეობა, რაც გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ მომჩივანს წარსულში რამდენიმე მაღალი რანგის სახელმწიფო თანამდებობა ეკავა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასაკითხი მოწმეები იყვნენ ან კვლავ არიან აპლიკანტის უშუალო იერარქიული დაქვემდებარების და პირადი ზეგავლენის ქვეშ. საქალაქო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ მომჩივანი, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის წარმოების კონტექსტის ფარგლებში, უკვე იყო ექვმიტანილი კონკრეტულ მოწმეზე, სასაზღვრო პოლიციის უფროსზე, ზ.დ-ზე, ზეგავლენის მოხდენის მცდელობაში (ზემოთ, იხ. პარაგრაფი 11).

24. 2013 წლის 22 მაისის განჩინებაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, მიუთითა, რომ წინასასამართლო სხდომა 2013 წლის 15 ივლისს გაიხსნებოდა.

25. მომხივანმა გაასაჩივრა 2013 წლის 22 მაისის განჩინება. იგი ამტკიცებდა, რომ მისთვის პატიმრობის შეფარდება დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ვერ უზრუნველყო რაიმე კონკრეტული მტკიცებულების ან არგუმენტების წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებდა გამოძიებისთვის ხელის შეშლის ან ბრალდებულის მიმალვის სავარაუდო რისკებს.

26. 2013 წლის 25 მაისის განჩინებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლობის გამო არ დააკმაყოფილა აპლიკანტის საჩივარი, რითიც დაადასტურა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები და გამოიყენა სამართლებრივი დებულებები.

27. 2013 წლის 2 ივლისს, პროკურორმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრამდე წინასასამართლო სხდომის გადადება თხოვა. პროკურორმა განცხადება გარკვეული დამატებითი საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელების საჭიროებით დაასაბუთა. როგორც აპლიკანტი, წარმოდგენილი სამი ადვოკატის მიერ, ასევე კახეთის გუბერნატორი, აღნიშნულ განცხადებას ნაწილობრივ დაეთანხმნენ. 2013 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განცხადება ნაწილობრივ დააკმაყოფილა და წინასასამართლო სხდომის გახსნის თარიღად 2013 წლის 23 აგვისტო განსაზღვრა.

28. 2013 წლის 12 აგვისტოს, აპლიკანტის ადვოკატებმა წინასასამართლო სხდომის შემდგომი გადადების თხოვნა წარადგინეს. ისინი დავობდნენ, რომ საქმის მასალები ძალიან მოცულობითი იყო და დაცვის პოზიციის მოსამზადებლად მეტი დრო იყო საჭირო. პროკურორმა აღნიშნულთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა, მიუთითა რა, რომ აპლიკანტი ცდილობდა სამართალწარმოების გაჭიანურებას და საქმის არსებითი მხარის განხილვისთვის ნაკლები დროის დატოვებას. 2013 წლის 14 აგვისტოს, საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა აპლიკანტის თხოვნა და წინასასამართლო სხდომის დაწყების ახალ თარიღად - 2013 წლის 12 სექტემბერი დაადგინა.

29. 2013 წლის 12 სექტემბერს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ წინასასამართლო სხდომა გახსნა.

30. 2013 წლის 25 სექტემბერს, მომდევნო წინასასამართლო სხდომაზე გაკეთებული ჩანაწერის თანახმად, აპლიკანტმა მისი წინასწარი პატიმრობის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით შეცვლა მოითხოვა. აღნიშნული მოთხოვნის მხარდასაჭერად, მან მიუთითა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ ახალი არგუმენტების წარმოდგენის შეუძლებლობაზე, რომლებიც დაასაბუთებდნენ

მიმალვის ან გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხის არსებობას. მისი სასამართლო პროცესზე წარდგენის დამატებით გარანტიად, მომჩივანმა მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ის იყო მთავარი პოლიტიკური პარტიის გენერალური მდივანი, მან გააკეთა საჯარო დაპირება, რომ ითანამშრომლებს გამოძიებასთან და წარსულში იგი ყოველთვის წარდგებოდა საგამოძიებო ორგანოს წინაშე. როგორც შესაბამისი სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერით გამოვლინდა, აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ მისი პატიმრობის გაგრძელება აღარ იყო აუცილებელი, ვინაიდან საგამოძიებო ორგანომ ყველა მოწმე დაკითხა. პროკურატურამ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვინაიდან მოწმეებს სასამართლოს წინაშე კვლავ უნდა მიეცათ ჩვენებები, ისევ არსებობდა რისკი იმისა, რომ ბრალდებული მათზე ზეწოლას განახორციელებდა. სახელმწიფო ბრალმდებელმა საქალაქო სასამართლოს შეახსენა ყალბ პასპორტთან დაკავშირებული ინციდენტი, როდესაც აპლიკანტმა მოახერხა დამუქრებოდა სასაზღვრო პოლიციის მაღალჩინოსანს (ზემოთ, იხ. პარაგრაფი 11).

31. პატიმრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული აპლიკანტის შუამდგომლობა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 25 სექტემბერს, იმავე დღესვე, განიხილა და არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, სასამართლომ, მხარეთა არგუმენტების მოსმენის შემდეგ, გადაწყვეტილება აუდიო ჩანაწერის მიზნით ზეპირად გამოაცხადა. როგორც აღნიშნული ჩანაწერით ვლინდება, მოსამართლემ მოკლედ განაცხადა, ახსნა-განმარტების წარმოდგენის გარეშე, რომ „წინასწარი პატიმრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს”.

32. 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ აპლიკანტს მსჯავრი დაადო მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების უმრავლესობაში. ამრიგად, იგი დამნაშავედ ცნეს ამომრჩევლის მოსყიდვაში (სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), სხვისი ქონების დიდი ოდენობით მითვისებაში, (სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა”, „დ” ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ბ” ქვეპუნქტი, რამდენიმე ეპიზოდი), და სხვა პირის ბინის ხელშეუხებლობის დარღვევაში (სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლი). რაც შეეხება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას (სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილს), აღნიშნული ბრალდება სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან გადაჭარბებული იყო. აპლიკანტს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

33. 2014 წლის 21 ოქტომბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა 2014 წლის 17 თებერვლის მსჯავრდება. საქმის მასალების თანახმად, მომჩივანმა

შეიტანა დამატებითი საჩივარი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით; საჩივრის განხილვა ამჟამად უზენაესი სასამართლოს წინაშე მიმდინარეობს.

D. 2013 წლის 14 დეკემბერს, ციხიდან აპლიკანტის სავარაუდო გაყვანა და საქმის შემდგომი წარმოება

34. წინამდებარე საქმის გადაცემის შემდეგ, საქმის მასალებისთვის აპლიკანტის მიერ დამატებული ინფორმაციის მიხედვით, 2013 წლის 14 დეკემბერს, დაახლოებით ღამის 1:30 სთ-ზე, იგი მოულოდნელად გაიყვანეს საკნიდან. თანმხლებმა ციხის დაცვამ, ქურთუკის მეშვეობით მას თავი დაუფარა, ჩასვა მანქანაში და უცნობი მიმართულებით წაიყვანა. მგზავრობა დაახლოებით ათი წუთი გაგრძელდა; შემდეგ ის შენობაში შეაცილეს. როდესაც აპლიკანტი ერთ-ერთ ოთახში შევიდა, დაცვამ ქურთუკი მოაშორა თავიდან და მან ორი ადამიანი დაინახა. ერთ-ერთი მათგანი, სავარაუდოდ, იყო მთავარო პროკურორი, ო.ფ., და მეორე გახლდათ ციხის ადმინისტრაციის უფროსი, დ.დ.

35. აპლიკანტის განცხადების თანახმად, პროკურორმა შეხვედრის დროს გარიგება შესთავაზა. კერძოდ, მომჩივანს მოუწოდეს გაემხილა „სიმართლე“ 2005 წლის 3 თებერვალს, ყოფილი პრემიერ მინისტრის, ზურაბ ჟვანიას (რომელიც, მოვლენების ოფიციალური ვერსიის შესაბამისად, ნაქირავებ ბინაში გარდაიცვალა მხუთავი აირით მოწამვლის შედეგად, რაც შეუსაბამოდ მოწყობილმა გაზის გამათბობელმა გამოიწვია) გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ და ასევე მოეწოდებინა ინფორმაცია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის საიდუმლო ოფშორული საბანკო ანგარიშების თაობაზე. აპლიკანტმა უარი განაცხადა გარიგებაზე; იგი ო.ფ.-ს შეთავაზებებს შეთქმულების თეორიას და სისულელეს უწოდებდა. საპასუხოდ, მთავარი პროკურორი მომჩივანს დაემუქრა, რომ თუ იგი არ დათანხმდებოდა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, მისი პატიმრობის პირობები გაუარესდებოდა. აპლიკანტი საკანში დაახლოებით ღამის 3 საათზე დააბრუნეს.

36. 2013 წლის 17 დეკემბერს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წინაშე საქმის განხილვის დროს, აპლიკანტმა გააკეთა განცხადება 2013 წლის 14 დეკემბერს მომხდარი ფაქტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საქალაქო სასამართლოს, სახელმწიფო ბრალმძებლისა და მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით, დაწყებული ჰქონდა აპლიკანტის წინააღმდეგ არსებული საქმის არსებითი მხარის განხილვა. მომჩივანმა დეტალურად აღწერა მისი ღამის საუბარი მთავარ პროკურორთან.

37. იმავე დღეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, რომ აპლიკანტის ბრალდებები, მთავარ პროკურორთან შესახვედრად მისი ციხიდან

გაყვანის შესახებ, მტკნარი სიცრუე იყო და ამასთან დაკავშირებით არ უნდა დაწყებულიყო გამოძიების წარმოება; მისი განცხადებით, აპლიკანტს „ფსიქიატრთან უნდა გაეკლო კონსულტაციები“. შემდგომში, მოახდინა რა სხვა საჯარო პირის კომენტარის პერიფრაზი, პრემიერ-მინისტრმა გააკეთა შემდეგი შენიშვნა: „ბოლოს და ბოლოს, რა იყო ციხიდან [აპლიკანტის] მოტაცების მიზანი? გააუპატიურა მთავარმა პროკურორმა თუ რა?“. ანალოგიურად, მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც დაგმობილია მომჩივნის ბრალდებები, როგორც „სიცრუე“ და „აბსურდი“.

38. 2013 წლის 18 დეკემბერს, სასჯელაღსრულების მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, რომ „[აპლიკანტი] ციხიდან არ გაუყვანიათ.. ასეთ არასერიოზულ ბრალდებებთან დაკავშირებით გამოძიება არ დაწყებულა“. მინისტრმა აღნიშნა, რომ ციხის სათვალთვალო სისტემების მიერ გადაღებული ჩანაწერები, რომელიც ნათელს მოჰყენდა იმ გაუგებრობას, იქნა თუ არა 2013 წლის 14 დეკემბრის განსაზღვრულ დროს აპლიკანტი გაყვანილი საკნიდან, საჯარო გახდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის ბრალდებასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი გამოძიება დაიწყებოდა.

39. მეორე მხრივ, მაღალი რანგის სხვა სახელმწიფო მოხელეებმა, როგორცაა პარლამენტის თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი, აღიარეს, რომ, 2013 წლის 14 დეკემბრის ინციდენტის შედეგად, საჭირო იყო ყოველმხრივი და მიუკერძოებელი სისხლის სამართლის გამოძიების დაწყება. 2013 წლის 19 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა აპლიკანტი ციხეში მოინახულა, სადაც მათ დეტალურად განიხილეს 2013 წლის 19 დეკემბრის ინციდენტი. შეხვედრის შემდეგ, სახალხო დამცველმა გააკეთა საჯარო განცხადება გამოძიების დაწყების აუცილებლობის შესახებ, რათა დადგენილიყო ყველა ფაქტი; მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომჩივანი მზად იყო თანამშრომლობისთვის.

40. 2013 წლის 20 დეკემბერს, აპლიკანტმა სასჯელაღსრულების მინისტრს ოფიციალური თხოვნით მიმართა, რის შესახებაც ეცნობა მთავარ პროკურატურასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს. აპლიკანტი მინისტრს თხოვდა, რომ ციხის სათვალთვალო სისტემის მიერ გადაღებული ვიდეომასალა, რომელიც მოიცავდა 2013 წლის 14 დეკემბრის ჩანაწერებს, მისი ადვოკატისთვის გადაეცათ. აღნიშნული ჩანაწერები დაადასტურებდა აპლიკანტის ციხიდან უკანონო გაყვანასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყების აუცილებლობას.

41. 2014 წლის 15 იანვარს, სახალხო დამცველმა კვლავ მოუწოდა ხელისუფლებას, გამოეძიებინათ აპლიკანტის ბრალდებები. იმავე დღეს სასჯელაღსრულების მინისტრმა განაცხადა, რომ სათვალთვალო სისტემის ჩანაწერები, რომლებიც მოიცავდა 2013 წლის 14 დეკემბრის ღამის ვიდეომასალას, ვეღარ იქნებოდა მოპოვებული, ვინაიდან ისინი ჩაწერიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ ავტომატურად წაიშალა.

42. 2014 წლის 6 მარტს, აპლიკანტმა კითხვით მიმართა მთავარ პროკურატურას, დაიწყო თუ არა სისხლის სამართლის გამოძიება 2013 წლის 14 დეკემბრის ინციდენტთან დაკავშირებით. 2014 წლის 14 აპრილს, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელმა ორგანომ აცნობა მომჩივანს, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურის მიერ ჩატარებულმა შიდა გამოძიებამ არ დაადასტურა ციხიდან აპლიკანტის არარეგულარული გაყვანა. აღნიშნულ გამოძიებასთან მიმართებით სხვა დეტალური ცნობები არ ყოფილა მოცემული.

43. 2014 წლის 10 მაისს, პარლამენტის წევრმა გამოაქვეყნა კონკრეტული დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფდა, რომ 2013 წლის დეკემბერში მაღალი პრემია გაიცა იმ ციხის რამდენიმე თანამშრომელზე, სადაც აპლიკანტი იყო დაპატიმრებული. პარლამენტარი ვარაუდობდა, რომ აღნიშნული თანამშრომლები ფინანსურად დაჯილდოვდნენ ციხიდან აპლიკანტის გაყვანაში მონაწილეობისთვის.

44. 2014 წლის 19 მაისს ლ.მ.-მა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის, დ.დ.-ს, მთავარმა მრჩეველმა, გაავრცელა საჯარო განცხადება და დაადასტურა აპლიკანტის ბრალდებების ჭეშმარიტება. მან განაცხადა: „ბავშვმაც კი იცის, რომ [მომჩივანი] დ.დ.-მ საკნიდან გაიყვანა“. იგი დამატებით აღნიშნავდა, რომ მას კონტაქტი ჰქონდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელთან, რომლებმაც პირად საუბარში დაუდასტურეს, რომ დ.დ.-მ მათ მითითება მისცა, დაემალათ 2013 წლის 14 დეკემბრის ღამის პერიოდის სათვალთვალო კამერის ჩანაწერები.

45. მომდევნო დღეს, 2014 წლის 20 მაისს, დ.დ.-მ ლ.მ. თანამდებობიდან გაათავისუფლა. რამდენიმე დღის შემდეგ, 2014 წლის 23 მაისს, იგი გადადგა ციხის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობიდან.

E. საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია აპლიკანტის წინააღმდეგ მიმართულ სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით

46. აპლიკანტმა წარადგინა მრავალი საგაზეთო სტატია, რომელიც მოიცავდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის მაღალი თანამდებობის პირებთან ინტერვიუებს (შემდგომ ორ პრემიერ-მინისტრთან, სხვადასხვა მინისტრებთან, პარლამენტის მმართველი კოალიციის წევრებთან და ა.შ.), როგორც მტკიცებულება, რომ მის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა პოლიტიკურად მოტივირებულ დევნას. მან ასევე მიუთითა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გაკეთებულ რამდენიმე ოფიციალურ განცხადებაზე, რომელიც შემფოთებას გამოთქვამდა სისხლის სამართლის რამდენიმე საქმის წარმოების დაწყებასა და ყოფილი მაღალჩინოსნების, მათ შორის აპლიკანტის, დაკავებებთან დაკავშირებით.

47. მაგალითად, 2012 წლის 12 ნოემბერს ევროკომისიის თავმჯდომარემ, მას შემდეგ, რაც იგი შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, გააკეთა საჯარო განცხადება. განცხადების შინაარსი იყო შემდეგი:

„არჩევნები საქართველოში წარმატებით ჩატარდა და ის აღიარებულ იქნა, როგორც თავისუფალი და სამართლიანი... დემოკრატია უფრო მეტია ვიდრე არჩევნები, ეს არის პოლიტიკური ურთიერთობების კულტურა დემოკრატიულ გარემოში. ამ თვალსაზრისით, თავიდან უნდა იქნეს აცილებული შერჩევითი მართლმსაჯულება, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს ქვეყნის იმიჯი და შეასუსტოს კანონის უზენაესობა“.

48. საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა, 2012 წლის 26 ნოემბერს საქართველოში ვიზიტის დროს, საჯაროდ განაცხადა შემდეგი: „ევროკავშირი ქართული პოლიტიკის ყველა მხარეს მოუწოდებს, დაიცვან დემოკრატიის, თავისუფლების და კანონის უზენაესობის ევროპული ღირებულებები. არ უნდა არსებობდეს შერჩევითი მართლმსაჯულება; პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ არ უნდა განხორციელდეს ანგარიშსწორება. წარსულის დანაშაულების გამოძიება უნდა იყოს, და უნდა ჩანდეს რომ არის, მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესის შესაბამისი.“

49. დამატებით მტკიცებულებად იმისა, რომ არსებული ხელისუფლება ახორციელებდა პოლიტიკური ოპონენტების დევნას, აპლიკანტმა მიუთითა 2014 წლის 1-ელ ოქტომბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მიერ მიღებული რეზოლუციიდან შემდეგ ამონარიდზე:

„აღსანიშნავია, რომ ორი წლის განმავლობაში, ყოფილი მმართველი პარტიის თითქმის მთელი ხელმძღვანელობა დააკავეს ან მათ წინააღმდეგ მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა ან გამოძიება: ყოფილი პრემიერ მინისტრი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი, [აპლიკანტი], ყოფილი თავდაცვის მინისტრი, [ბ.ა.], და ყოფილი თბილისის მერი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კამპანიის ხელმძღვანელი, [გ.უ.], ციხეში არიან (წინასწარი პატიმრობა).“

სასამართლო ხელისუფლებამ დამნაშავედ ცნო ყოფილი პრეზიდენტი, [მ.ს.], ისევე როგორც თავდაცვის ყოფილი მინისტრი [დ.კ.] და იუსტიციის ყოფილი მინისტრი, [ზ.ა] და მათ დაუსწრებლად წინასწარი პატიმრობის ბრძანება გასცა. ”

50. 2014 წლის 12 მაისს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა გამოაქვეყნა ანგარიში, 2014 წლის 20-25 იანვარს, საქართველოში მისი ვიზიტის შესახებ. ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებთან ერთად, კომისარმა ასევე აღნიშნა ყოფილი მმართველი პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, წევრების მიმართ არასათანადო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ანგარიშის შესაბამისი ნაწილი, რომელიც აპლიკანტმა ხაზგასმით აღნიშნა და სადაც მითითებული იყო 2013 წლის 14 დეკემბრის ინციდენტზე, შემდეგნაირად იკითხება:

„37. [ბ.ა.]-ს, [გ.უ.]-ს, და [მომჩივნის] - ყველა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი ან მასთან ასოცირებული პირი იყო - საქმეები კომისარმა ვიზიტის დროს განიხილა. 2013 წლის 21 მაისს, დაკავების დროს, აპლიკანტი ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი იყო. იგი ამტკიცებდა, რომ 2013 წლის 14 დეკემბერს, უცნობმა პირებმა თვალახვეული გაიყვანეს ციხიდან და მიიყვანეს სასჯელაღსრულების სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტში , სადაც მას დაემუქრა მაშინდელი მთავარი პროკურორი... ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა შესაბამის უწყებებს მოუწოდეს აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით გამოძიების წარმოებისკენ და შემფოთება გამოთქვეს, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ განხორციელებულმა შიდა გამოძიებამ ვერ უზრუნველყო სიტუაციის განსაზღვრა და უფრო მეტი კითხვები წარმოშვა, მათ შორის ციხეში სათვალთვალო სისტემის ვიდეომასალის ხელმიუწვდომლობასთან დაკავშირებით. ამასთან მიმართებით, მინისტრმა კომისარს განუმარტა, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ [აპლიკანტმა] საჩივარი 17 დეკემბერს - სავარაუდოდ განხორციელებული მოვლენებიდან სამი დღის შემდეგ - წარადგინა, ვიდეომასალა ხელმიუწვდომელი იყო, რადგან ოცდაოთხი საათის შემდეგ იგი ავტომატურად იშლებოდა.”

51. ამის შემდეგ, ანგარიშის დასკვნით ნაწილში, კომისარმა ზემოთ ხსენებულ (არასათანადოდ მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ) ბრალდებასთან მიმართებით მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას:

„41. კომისარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლო სისტემა უნდა იყოს საკმარისად სტაბილური, რათა მის სათანადო ფუნქციონირებას ხელი არ შეუშალოს ხელისუფლების ცვლილებამ, რაც ნებისმიერ ქვეყნის დემოკრატიას ახასიათებს. არსებული ბრალდებების და სისხლის სამართლებრივი გამოძიების და სასამართლო პროცესების ხარვეზების ამსახველი ინფორმაცია პოლიტიკური ოპონენტების საქმეებში, შემფოთებას იწვევს, რადგან აღნიშნული ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს საქმის შედეგს, მაშინაც კი თუ არსებობს ბრალდებებისა და საბოლოო მსჯავრდებების მყარი საფუძვლები. სამართლიანი სასამართლოს გარანტიების ყველასთვის უზრუნველყოფისა და კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების

ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნულ საკითხებზე სისტემურ დონეზე უნდა გაამახვილოს ყურადღება.”

52. მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყების უკან პოლიტიკური მოტივის არსებობის მხარდასაჭერად, აპლიკანტმა ასევე მიუთითა 2014 წლის 9 დეკემბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს (ODIHR) მიერ გამოქვეყნებული ანგარიშზე, საქართველოში სასამართლო მონიტორინგის შესახებ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიურომ სასამართლო მონიტორინგის პროექტი 2013 წლის თებერვალში დაიწყო და ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის თოთხმეტი საქმის წარმოებაზე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არ იყო და მიმართული იყო წინა მთავრობის მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეთა რიცხვში შედიოდა აპლიკანტის საქმეც. მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის თოთხმეტი საქმის წარმოების ჭრილში, გამოვლინდა ხარვეზები სამართლიანი პროცესის გარანტიებთან მიმართებით- როგორცაა მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპი, უდანაშაულობის პრეზუმფცია, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს მიერ დევნის განმახორციელებელ ორგანოზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენა და წინასწარი პატიმრობის დაუსაბუთებელი გამოყენება- ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს ანგარიშში საქართველოს ხელისუფლებისადმი გაიცა რეკომენდაციები, ზოგადად, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს სისხლის სამართლის სისტემა.

53. 2014 წლის 18 დეკემბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ. აპლიკანტის მიერ საკუთარი პოზიციის მხარდასაჭერად აღნიშნული რეზოლუციიდან მოხმობილი ციტატა შემდეგნაირად იკითხება:

„[ევროპარლამენტი] შეშფოთებას გამოთქვამს, რომ წინა მთავრობის რამდენიმე თანამდებობის პირს და ამჟამინდელი ოპოზიციის ზოგიერთ წევრს ბრალი ედებათ სისხლისსამართლებრივი ქმედების განხორციელებაში და დაპატიმრებულნი არიან წინასწარი პატიმრობის საფუძველზე; ევროპარლამენტი, ასევე, შეშფოთებას გამოთქვამს, პოლიტიკურ ოპონენტებთან წინააღმდეგ ბრძოლაში სასამართლო სისტემის გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რაც ძირს გამოუთხრიდა საქართველოს ხელისუფლების მიერ დემოკრატიული რეფორმის სფეროში გამოვლენილ ძალისხმევას; ევროპარლამენტი იხსენებს, რომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ოპოზიციური ძალის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაბალანსებული და ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის შექმნისთვის, რისკენაც ისწრაფვის საქართველო.”

54. საბოლოოდ, აპლიკანტმა მოიხმო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე 2015 წლის 1-ელ ოქტომბერს მიღებული რეზოლუციიდან - წინასწარი პატიმრობის

ბოროტად გამოყენება წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებით - ამონარიდი, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„7. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში გამოვლინდა წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენების შემდეგი საფუძვლები, კერძოდ:

7.1. დაკავებულზე ზეწოლის განხორციელება დანაშაულის აღიარების ან პროკურატურასთან სხვა მხრივ თანამშრომლობის მიღწევის მიზნით, რაც მოიცავს მესამე პირის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას (მაგალითად, სერგეი მაგნიტსკის საქმე რუსეთის ფედერაციაში და საქართველოში რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის, მათ შორის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, [აპლიკანტის] საქმე);

7.2. პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია ან სხვაგვარად ნეიტრალიზება (მაგალითად, საქართველოში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) ლიდერების გარკვეულ საქმეებზე); ...

11. წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენების საფუძვლები მოიცავს: ...

11.4 პროკურატურის მიერ „სასამართლო გარიგების“ შესაძლებლობას, რაც მოიცავს სხვადასხვა სტრატეგიის განვითარებას, რათა დარწმუნდნენ, რომ კონკრეტულ საქმეებზე წინასწარი პატიმრობის შუამდგომლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას გამოიტანს ის მოსამართლე, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო, მოსალოდნელია, რომ „დამთმობი“ იქნება (მაგ, საქართველოში, რუსეთის ფედერაციაში და თურქეთში)“.

F. ინფორმაცია აპლიკანტის წინააღმდეგ წარმოებული დამატებითი, ამ საქმესთან დაუკავშირებელი, სისხლისსამართლებრივი საქმეების შესახებ

55. წინამდებარე საქმის კომუნიკაციის შემდეგ, აპლიკანტმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პირველად აცნობა, რომ მის წინააღმდეგ დაიწყო ოთხი დამატებითი სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები არ იყო დაკავშირებული მთავარი სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებთან, რომელიც საფუძვლად დაედო წინამდებარე საქმეში აპლიკანტის მიერ გასაჩივრებულ წინასწარ პატიმრობას (იხ. პარაგრაფები 3 და 8-33).

56. კერძოდ, 2013 წლის 28 მაისს აპლიკანტს ბრალი წაეყენა ძალადობის ან იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში (სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), რაც დაკავშირებული იყო მისი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის როლთან, კერძოდ, 2011 წლის 26 მაისს საპოლიციო ძალების მიერ მშვიდობიან დემონსტრაციის ძალადობრივად დარბევის ზედამხედველობასა და დაგეგმვასთან. 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ, დაადგინა რა ის ფაქტი, რომ აპლიკანტმა საპოლიციო ძალებს პირდაპირ მისცა ბრძანება გადაჭარბებული ძალის გამოყენებით დემონსტრანტების დაშლის შესახებ, იგი

დამნაშავედ იქნა ცნობილი. 2014 წლის 11 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და, საქმის მასალებში არსებული აპლიკანტის უახლესი წარდგინების თანახმად, სამართალწარმოება უზენაესი სასამართლოს წინაშე მიმდინარეობს.

57. 2014 წლის 8 მარტს საქართველოს პროკურატურამ სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ) და 341-ე მუხლის (სამსახურებრივი სიყალბე) საფუძველზე აპლიკანტს ახალი ბრალი წაუყენა. აღნიშნული ახალი ბრალდება დაკავშირებული იყო აპლიკანტის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის როლთან, კერძოდ, 2006 წელს განხორციელებული მკვლელობის დაფარვასთან (იხ. *Enukidze and Girgvliani v. Georgia*, საჩ. N 25091/07, § 15 და შემდგომ, 2011 წლის 26 აპრილი), რომელშიც ჩართულნი იყვნენ მისი ახლობლები, კერძოდ, იმავე სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები და მისი მეუღლე. 2014 წლის 20 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ, დაადგინა რა, რომ აპლიკანტმა პირადად შეიტანა წვლილი აღნიშნული მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული გამოძიების მიმდინარეობის შეცვლაში, იგი დამნაშავედ ცნო ზემოთ ხსენებულ დანაშაულებში; ამჟამად სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობს უფრო მაღალი იურისდიქციის სასამართლოში.

58. 2014 წლის 28 ივლისს, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აპლიკანტს კიდევ ერთი ბრალი წაუყენეს, რომელიც ასევე დაკავშირებული იყო მისი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის როლთან; მას ბრალად ედებოდა, 2007 წლის 7 ნოემბერს, კერძო ტელევიზიისა და რადიო კომპანიის, იმედი მედია ჰოლდინგის, სამართალდამცავების მიერ დარბევის, ისევე როგორც აღნიშნული კომპანიისთვის მაუწყებლობის ლიცენზიის უკანონო ჩამორთმევის (დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ, *Akhvlediani and Others v. Georgia (dec.)*, საჩ. N 22026/10, 2013 წლის 9 აპრილი), დაგეგმვა და ზედამხედველობა. საბოლოოდ, 2014 წლის 5 აგვისტოს, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აპლიკანტის წინააღმდეგ კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაიწყო. მას ბრალად ედებოდა პოლიციის რამდენიმე მაღალჩინოსნისთვის პარლამენტის წევრის მიმართ არასათანადო მოპყრობის განხორციელების შესახებ ბრძანების გაცემა, რაც აღნიშნული პირის წინააღმდეგ ანგარიშსწორება გახლდათ, საქართველოს პრეზიდენტის ცოლის მიმართ საჯაროდ გამოქვეყნებული შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებისთვის. ბოლო ორი სისხლის სამართლის საქმის განხილვა, აპლიკანტის

მიერ წარდგენილი ბოლო ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე კვლავ მიმდინარეობს.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

59. მას შემდეგ, რაც 2010 წლის 1-ელ ოქტომბერს ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი („სსსკ“), რომელმაც, გააუქმა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებული წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ძირეულად შეიცვალა სისხლის სამართლის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ჩატარების პროცედურა. ეროვნულმა სასამართლოებმა უარყვეს პრაქტიკა, რომლის მიხედვით, ისინი გადაწყვეტილებებში ბრალდებული პირების მიმართ წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას კონკრეტულ ვადას უთითებდნენ.

60. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც ზეპირი მოსმენის ჩატარების ზოგადი წესის მარეგულირებელ თავში შედის, ადგენს, რომ თუ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას მიიღებს გადაწყვეტილებას, შესაძლებელია აღნიშნული გადაწყვეტილების ზეპირად გამოცხადება. ზეპირი გადაწყვეტილება უნდა დაფიქსირდეს სასამართლო სხდომის ოქმში. იმავე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ სასამართლო გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

61. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, „თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.“ იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც აითვლება ბრალდებულის დაკავების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

62. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ შუამდგომლობა შესაბამის მაგისტრატ მოსამართლეს 24 საათის განმავლობაში უნდა წარედგინოს. შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს შეჯიბრებითი პროცესის პირობებში, ზეპირი მოსმენით. მოსამართლემ განსახილველ საკითხთან

დაკავშირებით უნდა მიიღოს წერილობითი განჩინება, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მიღების მიზეზებს. ბრალდებულს უფლება აქვს აღნიშნული განჩინება ზემდგომ სასამართლოში გაასაჩივროს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლი).

63. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის 1-ლი, მე-8 და მე-9 ნაწილის მიხედვით, პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდეგ, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის წინასასამართლო სხდომაზე, ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება. სასამართლო ვალდებულია შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში გადაწყვიტოს დასაშვებობის საკითხი და განიხილოს რეალურად არსებობს თუ არა ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები; სასამართლოს შეუძლია ჩაატაროს ზეპირი მოსმენა, თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მან უნდა მიიღოს წერილობითი, დასაბუთებული განჩინება.

64. წინასასამართლო სხდომის ცნება, სხვა სიახლეებთან ერთად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2010 წელს იქნა წარმოდგენილი. წინასასამართლო სხდომა არის საქმის მხარეების - ბრალდებისა და დაცვის მხარის- შეხვედრა, გამართული სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვამდე. როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXII თავი მიუთითებს, რომელიც წინასასამართლო სხდომის მომწესრიგებელ ნორმებს შეიცავს, მხარეთა შეხვედრის მთავარი მიზანია, დაეხმაროს მოსამართლეს საქმეზე მმართველობითი კონტროლის განახორციელებაში და, წინასწარი მომზადების მეშვეობით, გააუმჯობესოს სასამართლო პროცესის ხარისხი, ამასთანავე, თავიდან აიცილოს ფუჭი წინასასამართლო აქტივობები, ხელი შეუწყოს საქმის გადაწყვეტას და ა.შ.

65. ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს (სსსკ-ს 205 § 3). ამ პერიოდის განმავლობაში მხარეები - ბრალდებისა და დაცვის მხარე- უფლებამოსილნი არიან ააგონ საქმე, სათანადოდ მოამზადონ მტკიცებულებები, დაკითხონ მოწმეები და ა.შ. თუმცა, აღნიშნული 60 დღის განმავლობაში, თითოეულ მხარეს შეუძლია მოსამართლეს წარუდგინოს დასაბუთებული შუამდგომლობა მოსამზადებელი პერიოდის შემცირების ან გაგრძელების შესახებ (სსსკ-ს 208-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მოსამართლე, ვადის შემცირების/გაგრძელების შესახებ, შუამდგომლობას განიხილავს წარდგენიდან სამი დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც მხარეებს მიეცემათ მოსაზრებების გაცვლის შესაძლებლობა (სსსკ-ს 208-ე მუხლის მე-3

ნაწილი). ნებისმიერ შემთხვევაში, თუ წინასასამართლო სხდომა არ დაიწყება მითითებული 60 დღის ან, ზემოთ ხსენებული პროცედურის შესაბამისად, მოსამართლის მიერ ნებადართული დროის განმავლობაში, ბრალდებული პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდეს (სსსკ-ს 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

66. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ უნდა მიიღოს მრავალი და სხვადასხვა პროცედურული გადაწყვეტილებები, რაც მოიცავს მხარის შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიებების, მათ შორის პატიმრობის, შეცვლის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული მუხლი, განსხვავებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლისგან (ზემოთ, იხ. 63-ე პარაგრაფი), არ შეიცავს დათქმას ფორმის შესახებ - წინასასამართლო სხდომაზე პატიმრობასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება წერილობითი უნდა იყოს თუ ზეპირი ან უნდა მიეთითოს თუ არა შესაბამისი მიზეზები.

სამართალი

I. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის სავარაუდო დარღვევა

67. აპლიკანტი დავობდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გამოვლენილ რიგ ხარვეზებთან დაკავშირებით, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილთან. წინამდებარე მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„1. ... არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია: ...

გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა...“

68. მთავრობამ განაცხადა, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით აპლიკანტისთვის წინასწარი პატიმრობის გამოყენება სრულად შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის

1-ლ ნაწილში განსაზღვრულ კანონიერების მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ დაპატიმრება ეფუძნებოდა 2013 წლის 22 მაისის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებას, რომელიც გამოტანილ იქნა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით ჩატარებული სასამართლო განხილვის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ განჩინების დასაბუთებაში აღნიშნულია, წინასწარი პატიმრობის სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, სსსკ-ის 205-ე მუხლი (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 22), შემდგომში უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე მუხლის მე-2 ნაწილი მკაფიოდ ადგენდა, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების მაქსიმალური ვადა შეადგენდა 9 თვეს (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 61). სხვა სიტყვებით, სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ერთობლიობაში წაკითხვით, ცხადი იყო, რომ 2013 წლის 22 მაისის განჩინებით მომჩივანს პატიმრობა შეეფარდა დასაშვები მაქსიმალური ვადით, რომელიც ეროვნული სასამართლოების კარგად დამკვიდრებული პრაქტიკა იყო. მთავრობამ, ამ კუთხით ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობის დამტკიცების მიზნით, წარმოადგინა ბოლოდროინდელი პატიმრობის მრავალი განჩინება, რომელშიც არ იყო მითითებული სსსკ-ის 205-ე მუხლის შესაბამისი დებულებები, არც რაიმე კონკრეტული ვადები. აღნიშნულ განჩინებებში მხოლოდ ზოგადად იყო მოხსენიებული სსსკ-ის 205-ე მუხლი, რომელიც პატიმრობის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი იყო. მთავრობა ასევე აცხადებდა, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის 9 თვის ვადით პირდაპირი გამოყენების შესამსუბუქებლად, კანონმდებელი საკმარისად გონიერი იყო, რათა ალტერნატიული მექანიზმი უზრუნველყო - განგრძობითი პატიმრობის კანონიერების და შესაბამისობის რეგულარული გადასინჯვის კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 206-ე მუხლის 1-ლი, მე-8 და მე-9 ნაწილების მიხედვით, აპლიკანტი უფლებამოსილი იყო გათავისუფლებულიყო წინასწარი პატიმრობიდან სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის წინასასამართლო სხდომის დროს, თუ იგი მიიჩნევდა, რომ მისი განგრძობითი პატიმრობა აღარ იყო საჭირო მართლმსაჯულების კარგად განხორციელების მიზნებისთვის (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 63).

69. მომჩივანმა საპასუხოდ განაცხადა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა ვერ აკმაყოფილებდა სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, 2013 წლის 22 მაისის წინასწარი პატიმრობის განჩინება არც პირდაპირ უთითებდა მაქსიმალური 9 თვის ვადით ბრალდებულის პატიმრობის საკითხს, არც სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილზე აკეთებდა კონკრეტულ მინიშნებას. აქედან გამომდინარე, განმცხადებლისთვის რთული იყო სადავო სასამართლო განჩინებიდან გაეგო წინასწარი პატიმრობის კონკრეტული ხანგრძლივობა. მაშინაც კი

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მართლაც განსაზღვრა აპლიკანტის წინასწარი პატიმრობა 9 თვის ვადით - გავრცელებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული ზოგადი ვითარების ბრმა გამოყენება უსამართლო და არაპროპორციული იყო წინამდებარე საქმეში, რადგან არსებობდა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ეროვნულ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა. აპლიკანტი დავობდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა იგი ჩააყენეს ისეთ მდგომარეობაში, რომ იგი წინასწარ პატიმრობაში აღმოჩნდა „შეუზღუდავი და არაპროგნოზირებადი ვადით“ (მითითება საქმეზე: Baranowski v. Poland (no. 28358/95, § 56, ECHR 2000-III)), ან „განუსაზღვრელი ვადით“ (მითითება საქმეზე: Tymoshenko v. Ukraine, no. 49872/11, § 267, 30 April 2013)). ამდენად, წინასწარი პატიმრობის შეფარდებისთვის საკმარისი მიზეზების და კონკრეტული ვადების მითითების გარეშე, ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებელი ჩააყენეს გაურკვეველ მდგომარეობაში მისი პატიმრობის საფუძვლებთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი (შემდგომი მითითება საქმეზე: Kharchenko v. Ukraine, no. 40107/02, § 75, 10 February 2011)).

ა) დასაშვებობა

70. ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განაცხადი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, იგი უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

ბ) არსებითი მხარე

1. ზოგადი პრინციპები

71. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ გამონათქვამები „კანონიერი“ და „კანონით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით“, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილთან დაკავშირებით არსობრივად ეხება ეროვნულ კანონმდებლობას და განსაზღვრავს ვალდებულებას, მატერიალური და პროცესუალური ნორმების შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. თუმცა, შიდა სამართალში პატიმრობის „კანონიერება“ არ არის ყოველთვის გადაწყვეტი ფაქტორი. სასამართლო დამატებით უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნული კანონმდებლობა თავისთავად შესაბამისობაშია კონვენციასთან, მათ შორის მასში გამოხატული ან ნაგულისხმევი ზოგადი პრინციპების მიხედვით. როცა საქმე თავისუფლების აღკვეთას ეხება, მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი განსაზღვრულობის ზოგადი პრინციპი დაკმაყოფილდეს, რათა თავისუფლების აღკვეთის პირობები ეროვნული კანონმდებლობით ნათლად განიმარტოს და

გამოსაყენებელი კანონი თავის მხრივ განჭვრეტადი იყოს ისე, რომ დაკმაყოფილდეს კონვენციით დადგენილი „კანონიერების“ სტანდარტი. წინამდებარე კონკრეტული სტანდარტი მოითხოვს, რომ ყველა საკანონმდებლო აქტი იყოს საკმარისად ზუსტი, რათა პირს საშუალება ჰქონდეს - საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რჩევის ფარგლებში განჭვრიტოს იმ ხარისხით, რომელიც გონივრულია ისეთ გარემოებებში, მოცემულ ქმედებას რომ შეიძლება მოჰყვეს (იხ. საქმეები: Khudoyorov v. Russia, no. 6847/02, § 125, ECHR 2005-X (extracts), და Giorgi Nikolaishvili v. Georgia, no. 37048/04, § 53, 13 January 2009)).

2. წინამდებარე პრინციპების გამოყენება აღნიშნულ საქმეში

72. თავდაპირველად, ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის განმეორებითი მითითებები კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევებთან მიმართებით, ბარანოვსკის, ხარჩენკოს და ტიმოშენკოს საქმეებში (ყოველი მათგანი აღნიშნულია 69-ე პარაგრაფში) შეუსაბამოა წინამდებარე საქმის გარემოებებთან. ზემოთ აღნიშნული ყველა ადრინდელი გადაწყვეტილება ეხება კონკრეტულ საკითხს, რაც განპირობებული იყო ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზით, რომელიც საერთო იყო რამოდენიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისთვის. კერძოდ, აღნიშნული სამართლებრივი სისტემების მიხედვით, ბრალდებულები პატიმრობაში რჩებოდნენ, ბრძანებაში მოცემული შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ კონკრეტულად იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ საბრალდებო დასკვნა წარდგენილ იქნა სასამართლოში (ასევე, იხ., აღნიშნულ საკითხზე წამყვანი საქმე: Ječius v. Lithuania, no. 34578/97, §§ 57-64, ECHR 2000 - IX). საქართველოსთან მიმართებით, ამ მკაფიო სამართლებრივმა პრობლემამ ასევე წარმოშვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევის შემთხვევები წარსულში, რომელიც დაკავშირებული იყო 1998 წლის 20 თებერვლის ძალადაკარგულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან (იხ., Ramishvili and Kokhraidze v. Georgia, no. 1704/06, § 106-111, 27 January 2009; და Gigolashvili v. Georgia, no. 18145/05, §§ 32-36, 8 July 2008), მაშინ, როცა მოცემული საქმე წარმოშობს ახალ საკითხებს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ოქტომბერს.

73. მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საჩივრის სირთულე კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის მნიშვნელობიდან გამომდინარე არის ის ფაქტი, რომ ეროვნულმა სასამართლომ, როდესაც აპლიკანტის დაკავებისა და შემდეგ უკვე წინასწარი პატიმრობის განჩინება გამოიტანა 2013 წლის 22 მაისს, არ განსაზღვრა პატიმრობის კონკრეტული ვადა.

თუმცა, განჩინებაში კონკრეტული ვადის არარსებობას არ შეეძლო თავისუფლების აღკვეთა უკანონოდ ექცია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის ჭრილში, რადგან შემდგომ ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას შეეძლო დაპატიმრებული პირისთვის განემარტა, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი იურიდიული დახმარების გზით, თუ რა ხანგრძლივობის იყო პატიმრობა (შეადარეთ, მაგ., Chitayev v. Russia, no. 59334/00, § 182, 18 January 2007).

74. ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განჩინებაში მითითებული იყო სსსკ-ის 205-ე მუხლი. აღნიშნული განჩინება ძალაში დატოვა 2013 წლის 25 მაისის სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, როგორც წინასწარი პატიმრობის შეფარდების სამართლებრივი საფუძველი. ეს სამართლებრივი ნორმა თავის 1-ლ ნაწილში ჩამოთვლის აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების შემთხვევების ამომწურავ ჩამონათვალს, ხოლო მე-2 ნაწილში ცხადად მითითებულია, რომ წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, ან შესაძლებელია უფრო ადრეც ამოიწუროს ვადა იმ ფაქტის გამო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა (იხ., პარაგრაფი 61 და შეადარეთ ზემოთ აღნიშნულ საქმეს: Chitayev, §§ 109 and 182). ამდენად, აპლიკანტისთვის, რომელიც ადვოკატებით იყო წარმოდგენილი რთული არ უნდა ყოფილიყო 2013 წლის 25 მაისის განჩინების სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთად აღქმა, რომ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო მაქსიმალური 9 თვის ვადით, თუ მანამდე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული. ეს განსაკუთრებით ცხადია ვრცელი სასამართლო პრაქტიკის ფონზე, რომლის თანახმადაც, განსახილველ დროს სისხლის სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი იყო აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების განჩინებებში სსსკ-ის 205-ე მუხლზე აღნიშვნა, ვიდრე ამ კონკრეტული მუხლის იმ დებულებების მითითება, რომელიც ეხებოდა დროის ხანგრძლივობას ან სხვა ნორმატიულ ვადებს (ზემოთ, იხ., პარაგრაფი 68). აპლიკანტის ადვოკატებს, როგორც კვალიფიცირებულ სამართლის პროფესიონალებს უნდა სცოდნოდათ შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა.

75. ევროპული სასამართლო შემდგომ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ, სასამართლოს 2013 წლის 22 და 25 მაისის თავდაპირველი განჩინებების შესაბამისად, იმ დროს არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აპლიკანტისთვის წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური 9 თვის ვადით დაუსწრებლად შეფარდების მიუხედავად, აღნიშნული გარემოებები ვერ იქნებოდა მიჩნეული აპლიკანტისთვის წინამდებარე საკითხის დამატებითი სასამართლო გადასინჯვის შესაძლებლობის ხელყოფად;

რითაც სავარაუდოდ, იგი რჩებოდა 9 თვის განმავლობაში პროცედურული დაუცველობის მდგომარეობაში. ამის საპირისპიროდ, სსსკ-ის 206-ე მუხლის 1-ლი, მე-8 და მე-9 ნაწილები ცხადად აძლევდა უფლებას მომჩივანს, მიმდინარე სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე დაეყენებინა შუამდგომლობა თავდაპირველად შეფარდებული პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამ კუთხით, ევროსასამართლო იზიარებს მთავრობის პოზიციას, რომ თეორიაში, კონკრეტული საშუალება განსაზღვრული იყო ეროვნული სასამართლოებისთვის იმ შესაძლებლობის მისანიჭებლად, რომ მიჰყოლოდა და რეაგირება მოეხდინა შეცვლილ გარემოებებზე; კონკრეტულად, შეეცვალათ ან გაეუქმებინათ წინასწარი პატიმრობის განჩინება, თუ დამატებითი სასამართლო განხილვის შემდეგ, აღმოჩნდებოდა, რომ იმ დროს არსებული მიზეზები აღარ არსებობდა ან არ იყო საკმარისი თავისუფლების განგრძობითი აღკვეთის გასამართლებლად. ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ აპლიკანტმა ასეთ საშუალებას, ფაქტობრივად, მიმართა 2013 წლის 25 სექტემბერს (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 30).

76. ზემოთ აღნიშნული დასკვნებიდან გამომდინარე, ევროსასამართლოს არ შეუძლია გაიზიაროს აპლიკანტის მტკიცებები, რომ 2013 წლის 22 და 25 მაისის განჩინებებში სსსკ-ის 205-ე მუხლის საფუძველზე წინასწარი პატიმრობის გამოყენებამ გამოიწვია განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრელი ან შეუზღუდავი დროის პერიოდით, ყოველგვარი სასამართლო გადასინჯვის გარეშე ან სხვაგვარად ჩააყენა იგი სამართლებრივი გაურკვეველობის მდგომარეობაში, წინასასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს.

77. შესაბამისად, არ დარღვეულა ევროკონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი.

II. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის სავარაუდო დარღვევა

78. აპლიკანტი დავობდა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, წინასწარი პატიმრობის სასამართლო განჩინებები არ იყო დასაბუთებული. წინამდებარე მუხლი იკითხება შემდეგნაირად:

„ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირს ... უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით“.

79. მთავრობამ განაცხადა, რომ აუცილებელი იყო აპლიკანტის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა, იმ აშკარა რისკების გამო, რომელიც დაკავშირებული იყო ბრალდებულის მიმალვასთან ან მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელის შეშლასთან დაკავშირებით. ასეთი რისკები სათანადოდ იქნა გათვალისწინებული ეროვნული სასამართლოების მიერ თავდაპირველად და განსაკუთრებით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე. 2013 წლის 22 და 25 მაისის განჩინებები იძლეოდა აპლიკანტის დაპატიმრების საშუალებას კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადით - 9 თვით (ასევე, იხ. ზემოთ, პარაგრაფი 68). აღსანიშნავია, რომ სასამართლოებმა თავიანთ განჩინებებში მიუთითეს სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოების მიერ მოხმობილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ასაბუთებდა ზემოთ აღნიშნულ ორ საფრთხეს: ის ფაქტი, რომ განმცხადებელს ჰქონდა რამდენიმე პასპორტი, მათ შორის ორი დიპლომატიური სამგზავრო დოკუმენტი და ერთი ყალბი, მომჩივნის მფლობელობაში აღმოჩენილი დიდი რაოდენობის თანხა ქვეყნიდან შესაძლო წასვლის მიზნით, ბ-ნი მერაბიშვილის ჩვენების მისაცემად დაბარების შემდეგ, მისი მეუღლის მიერ ნაჩქარევად საქართველოს დატოვება, ამ საქმეში აპლიკანტის მიერ მოწმეზე - ზ.დ. უკვე განხორციელებული მუქარა, მომჩივნის საზოგადოებაში არსებული ცნობადი პოზიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს იერარქიაში არსებული კავშირების გამოყენების მეშვეობით და ა.შ.

80. რაც შეეხება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინებას, მთავრობამ თავდაპირველად აღნიშნა, რომ წინამდებარე განჩინებით აპლიკანტის წინასწარი პატიმრობა არ გაგრძელებულა, რადგან აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა ნორმატიულად დასაშვები მაქსიმალური ვადით - 9 თვით, სასამართლოს 2013 წლის 22 და 25 მაისის პირველადი განჩინებებით. უფრო კონკრეტულად, 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლოს განჩინება მთლიანად ეხებოდა აპლიკანტის შუამდგომლობის განხილვასა და დაუკმაყოფილებლობას - შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმებასთან დაკავშირებით, და, შესაბამისად, უკანასკნელი განჩინება წაკითხულ უნდა იქნეს ეროვნული სასამართლოების თავდაპირველ განჩინებებში აღნიშნული საფუძვლების მიხედვით; კერძოდ, ის კარგად დადასტურებული რისკები, რომ მომჩივანი მიემალეობდა ან ხელს შეუშლიდა მართლმსაჯულების აღსრულებას. მთავრობამ ასევე განმარტა, რომ განმცხადებელმა იშუამდგომლა აღკვეთის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, მხოლოდ წინასასამართლო სხდომის დაწყების შემდეგ და ზეპირი განხილვის მიმდინარეობისას. აქედან გამომდინარე, ეროვნული სასამართლო უფლებამოსილი იყო, სსსკ-ის 194-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად არსებული სასამართლო

პრაქტიკის მიხედვით (იხ. ზემოთ, პუნქტი 60), განეხილა და გადაეწყვიტა შუამდგომლობა წერილობითი დასაბუთებული დოკუმენტის გარეშე, ზეპირი ფორმით, შესაბამისი სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერისთვის.

81. პასუხად, მომხივანმა განაცხადა, რომ 2013 წლის 22 და 25 მაისის თავდაპირველი განჩინებები არ შეიცავდა საკმარის საფუძვლებს წინასწარი პატიმრობის გამოსაყენებლად. იგი ამტკიცებდა, რომ მთავრობის გაზვიადებული არგუმენტები ევროსასამართლოს წინაშე, სწორად არ ასახავდა იმ იშვიათ მსჯელობას, რომელიც ფაქტობრივად მოცემული იყო ადრინდელ განჩინებებში. რაც შეეხება, 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლო განჩინებას, რომელსაც აპლიკანტი კვლავაც აკვალიფიცირებდა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების წინაპირობად, დავობდა, რომ აღნიშნული განჩინება არ იქნა გამოტანილი წერილობითი, დასაბუთებული ფორმით.

ა. დასაშვებობა

82. ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი არ იყო აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლი მე-3 ნაწილის ა) ქვეპუნქტის მიხედვით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განაცხადი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლების გამო. შესაბამისად, იგი უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

ბ) არსებითი მხარე

1. ზოგადი პრინციპები

83. სასამართლო აღნიშნავს, რომ, მაშინაც კი, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, ეროვნულ სასამართლოებს ეკისრებათ ვალდებულება წარმოადგინონ სხვა „შესაბამისი“ და „საკმარისი“ საფუძვლები თავისუფლების აღკვეთის გამართლების მიზნით (იხ., საქმეები: *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 153, ECHR 2000 - IV). ეროვნული მართლმსაჯულების ორგანოებმა პირველ რიგში უნდა განიხილონ ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტის არსებობის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო გარემოებები და მოიხმონ ისინი თავიანთ განჩინებებში - პირის გათავისუფლების შესახებ. აღნიშნულ განჩინებებში მოცემული საფუძვლებისა და განმცხადებლის მიერ საჩივრებში დადგენილ ფაქტებზე დაყრდნობით, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს - დაირღვა თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი (იხ., *Stasaitis v. Lithuania*, no. 47679/99, §82, 21

March 2002). ამ ფუნქციის განხორციელებისას, ევროსასამართლომ უნდა დაამტკიცოს, რომ ეროვნულ დონეზე მიღებული განჩინებები არ იყო სტერეოტიპებით დადგენილ ფარგლებში აგებული ან მოკლედ გადმოცემული (იხ., Panchenko v. Russia, no. 45100/98, § 107, 8 February 2005) და, რომ დასაბუთება არ იყო დეკლარაციული ხასიათის, ზოგადი ან აბსტრაქტული (იხ., Smirnova v. Russia, nos. 46133/99 and 48183/99, § 63, ECHR 2003 - IX (extracts); და Nikolov v. Bulgaria, no. 38884/97, § 73, 30 January 2003).

2. წინამდებარე პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

ა) მხედველობაში მისაღები პერიოდი

84. სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტს პატიმრობა შეეფარდა 2013 წლის 21 მაისს და მსჯავრდებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2014 წლის 17 თებერვალს (იხ. ზემოთ, პარაგრაფები 17 და 30). შესაბამისად, ბ-ნმა მერაბიშვილმა 8 თვე და 27 დღე გაატარა წინასწარ პატიმრობაში. მთელი ეს პერიოდი მოცული იყო სასამართლოს თავდაპირველი 2013 წლის 22 მაისის განჩინებით, რომელიც 2013 წლის 25 მაისის სააპელაციო ინსტანციამ ძალაში დატოვა. აღნიშნულის საფუძველზე, აპლიკანტის წინასწარი პატიმრობა მოიცავდა ნორმატიულად დასაშვებ მაქსიმალურ ვადას - 9 თვეს (იხ. ზემოთ, ასევე პარაგრაფები 74 და 75). თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე და ნორმატიულად განსაზღვრული წინასწარი პატიმრობის ვადის პირდაპირი დაკისრების ქართული სისტემის განსაკუთრებული არსის გათვალისწინებით, მომჩივნის დაპატიმრების მიზანშეწონილობა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ სასამართლოს თავდაპირველ განჩინებებში მოცემული საფუძვლების მიხედვით. ევროსასამართლოსთვის უფრო ღირებულია, შემდგომი მოკვლევის ჩატარება; კერძოდ, შესაბამის დროს არსებული საწყისი გარემოებები აღარ არსებობდა, თუ აღარ იყო საკმარისი საფუძვლები თავისუფლების აღკვეთის განგრძობითი ხასიათის გასამართლებლად ვადის ამოწურვის შემდეგ (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 75). აქედან გამომდინარე, სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს, განმცხადებლის პატიმრობის მიზანშეწონილობა ცალკე უნდა იქნას განხილული 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინებაში მოცემული მიზეზების მიხედვით, როცა აპლიკანტის შუამდგომლობა გათავისუფლების შესახებ არ დაკმაყოფილდა (შეადარეთ, იმავე მიზნებისთვის საქმეს: Saghinadze and Others v. Georgia, no. 18768/05, §§ 136-140, 27 May 2010).

ბ) 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო განჩინებებთან დაკავშირებით

85. მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ევროსასამართლო ასკვნის, რომ 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო განჩინებები წარმოადგენდა ერთი და იგივე HABEAS CORPUS-ის პროცედურის ორ ეტაპს, აპლიკანტის მიმართ წინასწარი პატიმრობის თავდაპირველ გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, იმის დასადგენად, იყო თუ არა მაშინდელი დაპატიმრების პერიოდი გონივრული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის არსის ფარგლებში, განჩინებაში მოცემული საფუძვლები, ასევე, სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეების არგუმენტები გამოკვლეულ უნდა იქნეს მთლიანობაში (შეადარეთ ზემოთ აღნიშნულ საქმეს: *Saghinadze and Others*, § 136; *Galushvili v. Georgia*, no. 40008/04, § 33-34, 17 July 2008; და *Ramishvili and Kokhreidze v. Georgia (dec.)*, no. 1704/06, 27 June 2007).

86. სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობაში მითითებული ორივე საფუძველი - გათავისუფლების შემთხვევაში, მომჩივნის მიმალვა ან/და მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელის შეშლა - საკმარისად მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქმის კონკრეტულ გარემოებებთან. პროკურორის არგუმენტები შემდგომ მკაფიოდ იქნა მხარდაჭერილი ეროვნული სასამართლოების მიერ სადავო განჩინებებში. უფრო კონკრეტულად, არსებობდა საფრთხე, რომ აპლიკანტი გამოიყენებდა მის ძალაუფლებას - როგორც, ყოფილი მაღალჩინოსანი - მოწმეებზე ზემოქმედების მიზნით, რომლებიც ძირითადად ყოფილი ან მოქმედი საჯარო მოხელეები იყვნენ ან სხვაგვარად ხელს შეუშლიდა გამოძიებას. ეს შიში შემდგომში უფრო დასაბუთდა მომჩივნის საერთაშორისო ყალბი პასპორტის სავარაუდო გამოყენების შემთხვევაზე მითითებით, რომლის შემდგომ ბ-ნმა მერაბიშვილმა, სავარაუდოდ, ზეწოლა მოახდინა სასაზღვრო პოლიციის უფროსსა და პოლიციის თანამშრომელზე - ზ.დ. რაც შეეხება მიმალვის საფრთხეს, იგი დაკავშირებული იყო ისეთ ფაქტებთან, როგორებიცაა: აპლიკანტის მიერ რამდენიმე საერთაშორისო პასპორტის ქონა, მისი მეუღლის ნაჩქარევი გამგზავრება იმ დღეს, როცა განმცხადებელი ჩვენების მისაცემად დაიბარეს საგამოძიებო ორგანოში, ქვეყნის დატოვებისთვის მოსამზადებელი სავარაუდო დიდი ოდენობის ფულადი თანხის აღმოჩენა და ა.შ.

87. ევროსასამართლო არ მიიჩნევს, რომ წინამდებარე დასაბუთება, რომელიც დაკავშირებულია პროკურორის მიერ საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და შემდეგ დადასტურებულია ეროვნული სასამართლოების განჩინებების მიერ, ირაციონალური ან არარელევანტური იყო იმ დროისთვის. შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის გამოყენება არ შეიძლება განიმარტოს მიზანშეუწონლად კონვენციის მე-

5 მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსის მიხედვით (შეადარეთ კვლავ ზემოთ აღნიშნულ საქმეებს: *Saghinadze and Others*, §137; *Ramishvili and Kokhreidze*, და ასევე, *Mikiashvili v. Georgia*, no. [18996/06](#), §§101-02, 9 October 2012).

88. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო განჩინებებთან მიმართებით.

გ) 2013 წლის 25 დეკემბრის სასამართლო განჩინებასთან დაკავშირებით

89. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2013 წლის 25 სექტემბრის წინასასამართლო სხდომაზე, აპლიკანტმა პირველად მოითხოვა, 2013 წლის 22 მაისიდან მოყოლებული მისი წინასწარი პატიმრობის დასაბუთების საკითხზე სასამართლოს ემსჯელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი, მე-8 და მე-9 ნაწილებიდან გამომდინარე.

90. თუმცა, პატიმრობის საკითხზე, რომელიც უკვე გრძელდებოდა 4 თვეზე მეტი ვადით (შეადარეთ *Patsuria v. Georgia*, no. 30779/04, § 74, 6 ნოემბერი, 2007, და *G.K. v. Poland*, no. 38816/97, § 84, 20 იანვარი, 2004), „განსაკუთრებული გულმოდგინების“ უფრო მაღალი სტანდარტის დემონსტრირების ნაცვლად, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპლიკანტის შუამდგომლობა *de plano*. კერძოდ, განჩინების წერილობითი ფორმით მიღების გარეშე, არ მოუხდენია საფუძვლების ზეპირსიტყვიერად გამოცხადებაც კი. მთავრობა აცხადებდა, რომ ეროვნული სასამართლო მოქმედებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დაცვით (იხ. პარაგრაფი 80). სასამართლოს მხედველობის მიღმა არ დარჩა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმავე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ადგენს სასამართლოს ვალდებულებას - განაჩენის ზეპირი ფორმით გამოცხადებისას მიუთითოს შესაბამისი საფუძვლები. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლი წარმოადგენს *lex generalis*, რომელიც არეგულირებს ზეპირ განხილვებს, ზოგადად, ყველა გარემოებასთან მიმართებით, სსსკ-ის 206-ე მუხლის პირველი, მე-8 და მე-9 ნაწილი არის *lex specialis*, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა თუ გაუქმების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოს მიერ განხილვის წესს. ამგვარი სახის შუამდგომლობა წარადგინა აპლიკანტმა 2013 წლის 25 სექტემბერს. აღნიშნული სპეციალური დებულება ავალდებულებს ეროვნულ სასამართლოებს, მსგავსი

შუამდგომლობების განხილვის შემდეგ მიიღონ განჩინება წერილობითი ფორმით, შესაბამისი საფუძვლების მითითებით (იხ. პარაგრაფი 60).

91. სასამართლო ადგენს, რომ 2013 წლის 25 სექტემბერს, აპლიკანტის წინასწარ პატიმრობაში დატოვებისას, ზეპირსიტყვიერად მხოლოდ აბსტრაქტული ფრაზის გამოცხადებით - „აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს“ - ქუთაისის საქალაქო სასამართლო წინააღმდეგობაში მოვიდა მის განსაკუთრებულ ვალდებულებასთან, რომელიც თავდაპირველად სათანადო წესით წინასწარი პატიმრობის ღონისძიების შეფარდებიდან დროის შუალედის გასვლის გათვალისწინებით, დამაჯერებლად არ ადგენდა ახალი კონკრეტული გარემოებების არსებობას, რაც გაამართლებდა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას და განიხილავდა წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესაძლებლობას. აპლიკანტის თავისუფლების შეზღუდვის სასამართლო დასაბუთებულობის ზედაპირული ფორმა წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული მომჩივნის უფლების ფართო შეზღუდვას. (იხ. Giorgi Nikolaishvili v. Georgia, no. 37048/04, § 76, 13 იანვარი, 2009 და ზემოთ აღნიშნული საქმე: ფაცურია, § 74).

92. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის დარღვევას 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლოს განჩინებასთან მიმართებით.

III. ევროკონვენციის მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილთან მიმართებით

93. აპლიკანტი სასამართლოში თავდაპირველად წარდგენილ დოკუმენტში ამტკიცებდა, რომ ევროკონვენციის მე-18 მუხლის გათვალისწინებით, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და დაკავება ხელისუფლების მხრიდან გამოყენებული იქნა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან განმცხადებლის ჩამოსაშორებლად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შესასუსტებლად და 2013 წლის საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის შესაზღუდად. აპლიკანტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ოპოზიციური პარტიის ლიდერების პოლიტიკური დევნა მისი ჩათვლით, ერთხმად აღიარებული იყო საერთაშორისო საზოგადოების მიერ (იხ. პარაგრაფი 46-53). ევროკონვენციის მე-18 მუხლი იკითხება შემდეგნაირად:

„ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისთვის“

94. მოცემულ საქმეზე, მთავრობა დასაშვებობასა და არსებით განხილვასთან დაკავშირებით წარმოდგენილ თავდაპირველ შენიშვნებში მიუთითებდა, რომ აპლიკანტის მტკიცება იმის შესახებ, რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიზნად ისახავდა განმცხადებლის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორებას არ დასტურდება სათანადო ფაქტებით, შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებს ევროკონვენციის მე-18 მუხლთან მიმართებით ევროსასამართლოს მიერ დადგენილ მტკიცების მაღალ სტანდარტს. გარდა იმ ფაქტისა, რომ აპლიკანტი მიუთითებს დაკავებამდე ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიაში მის გენერალურ მდივნის პოზიციაზე ყოფნას, მისი საჩივარი სხვა შესაბამისი მტკიცებულების მოხმობით ვერ საბუთდება. რაც შეეხება, საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა ლიდერთა მიერ გაკეთებულ განცხადებებს, აგრეთვე საერთაშორისო დოკუმენტებში ასახულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს (იხ. პარაგრაფი 46-54), მთავრობა მიუთითებს, რომ აღნიშნული პოზიციები წარმოადგენს ზოგადი ხასიათის წმინდა პოლიტიკური-იურიდიულ შეფასებას, რომელიც არ გამომდინარეობს აპლიკანტის საქმის ფაქტობრივი გარემოებების სასამართლო განხილვიდან. მთავრობა აღნიშნავს, რომ ნებისმიერმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქმის კონკრეტული გარემოებებითა და მტკიცებულებით, ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიერ ღიად გამოთქმული მოსაზრებების საპირისპიროდ.

95. მთავრობის შენიშვნების საპასუხოდ, აპლიკანტი კვლავ ამტკიცებდა, რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და შემდგომ დაკავება ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იქნა პოლიტიკური ცხოვრებიდან მის ჩამოსაშორებლად; კერძოდ, პოლიტიკური პარტიისთვის, რომლის გენერალური მდივნის პოზიციას თვითონ იკავებდა, ზიანის მისაყენებლად. განმცხადებელი დავობდა, რომ მისი საქმე იყო *Lutsenko v. Ukraine* (no. 6492/11, §§ 108-09, 3 ივლისი, 2012), და *Tymoshenko v. Ukraine* (no. 49872/11, § 299, 30 აპრილი, 2013) საქმეების მსგავსი. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ სხვადასხვა შეფასებებს, რომელზეც აპლიკანტმა სასამართლოს ყურადღება მიაპყრო (იხ. პარაგრაფი 46-54), განმცხადებელი არ ეთანხმება, რომ აღნიშნული განცხადებები წარმოადგენს პოლიტიკურ შეფასებებს. ის ამტკიცებდა, რომ განცხადებების უმეტესობა ოფიციალური დოკუმენტია, რომლებიც ასახავდნენ ევროპის მაღალჩინოსანი პირების პოზიციას და შესაბამისად, სასამართლოს მიერ განხილული უნდა იქნას ევროკონვენციის მე-18 მუხლის ფარგლებში. გარდა საერთაშორისო

საზოგადოების პოზიციებისა, განმცხადებელმა მოუწოდა სასამართლოს მხედველობაში მიეღო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებშიც მისი მტკიცებით, ნათლად იკვეთებოდა მმართველი ძალის მიზანი, აღმოეფხვრათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საქმიანობა. აპლიკანტმა მოქმედი ხელისუფლების მხრიდან ყოფილი რეჟიმის წარმომადგენლების წინააღმდეგ პოლიტიკური დევნის მაგალითად მოიყვანა ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დ.კ-ს მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი პროცედურები, რომლის საფრანგეთიდან საქართველოში ექსტრადიციაზეც საფრანგეთის სააპელაციო სასამართლომ (Aix-en-Provence) უარი განაცხადა.

96. აპლიკანტმა სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდა 2013 წლის 14 დეკემბრის ინცინდენტთან დაკავშირებით. დეტალების თანმიმდევრულად აღწერის შემდეგ (იხ. პარაგრაფი 34-45), აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ საქმის გარემოებები იყო ევროკონვენციის მე-18 მუხლის ჭრილში ევროსასამართლოს მიერ განხილულ პრეცედენტული საქმის: *Gusinskiy v. Russia* (no. 70276/01, § 75, ECHR 2004-IV) ვითარების მსგავსი. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ბ-ნი გუსინსკის სისხლისსამართლებრივი დევნა და დაკავება გამოყენებული იქნა მის შესავიწროებლად და იძულებისთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეთმო კომპანიის აქციები. თავის საქმეში, აპლიკანტი დავობდა, რომ 2013 წლის 14 დეკემბრის ინცინდენტი ნათელყოფდა, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა და დაკავება მთავარი პროკურორის მიერ გამოყენებულ იქნა, როგორც ბერკეტი მოეხდინათ მასზე იძულება, მიეცა ჩვენება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ, აღნიშნული მიზანი კი სრულიად შეუსაბამოა ევროკონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მიზნებთან.

97. მთავრობამ, აპლიკანტის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტების მოხმობასთან დაკავშირებით, საპასუხოდ განმარტა, რომ აღნიშნულ შეფასებებს უფრო პოლიტიკური, ვიდრე სამართლებრივი ბუნება ჰქონდათ. აგრეთვე, ყოფილი თავდაცვის მინისტრის ექსტრადიციის პროცედურებზე მითითება, რომელიც ამ საქმეს არ უკავშირდება და არის ფაქტიურად სხვა საქმე, აპლიკანტის კონკრეტული საჩივრის ეს ნაწილი ევროკონვენციის მე-18 მუხლის მიზანთან შეუსაბამოა და არ უნდა იქნას განხილული. ყოფილი მაღალჩინოსნის ექსტრადიციის პროცესის დროებითი შეჩერების საპირისპიროდ, მთავრობამ წარმოადგინა სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისთვის უფლებამოსილი ორგანოების მიერ ძებნილი სხვა

ყოფილი მაღალჩინოსნების ექსტრადიციის წარმატებული მაგალითები და მოცემულ საქმესთან არარელევანტური დავა შესაძლოა გაგრძელდეს უსასრულოდ.

98. აპლიკანტის მიერ 2013 წლის 14 დეკემბრის ინცინდენტთან დაკავშირებით მითითებისას, მთავრობამ განმარტა, რომ ის წარმოადგენს უბრალო ბრალდებას, რომელიც არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით. მთავრობამ აღნიშნა, რომ შიდა მოკვლევის შედეგად აპლიკანტის ბრალდებები არ დადასტურდა (იხ. პარაგრაფი 42). უფრო მეტიც, სადავო ინცინდენტი არ წარმოადგენს მოცემული განაცხადის საგანს. მათ მიუთითეს, რომ აპლიკანტის საჩივარი ევროკონვენციის მე-18 მუხლთან მიმართებით, მიზნად ისახავს წარმოაჩინოს სისხლისსამართლებრივი დევნისა და დაკავების შეუსაბამო მოტივი; კერძოდ, განმცხადებლის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორების მიზნით. ამ კონკრეტულ საჩივარს არაფერი აქვს საერთო გუსინსკის საქმეზე ევროსასამართლოს მიერ ევროკონვენციის მე-18 მუხლის კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილთან მიმართებით დარღვევასთან, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავება წარმოადგენდა ხელისუფლების მიერ უკანონო კომერციული გარიგებების სტრატეგიის ნაწილს. ერთადერთი ხელშესახები არგუმენტი, რომელიც აპლიკანტმა მოიყვანა მისი დაკავების ფარული პოლიტიკური მოტივების ბრალდების დასასაბუთებლად, იყო მარტო ის ფაქტი, რომ იგი ჩართული იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, მთავრობა დავობდა, რომ აპლიკანტის პოლიტიკური სტატუსი მას არ ანიჭებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისგან იმუნიტეტს. მათ დამატებით აღნიშნეს, რომ მოსამართლის მოსაზრება, თანაბრად გამოსაყენებელია აპლიკანტის საქმეში, კერძოდ, *Khodorkovskiy v. Russia* (no. 5829/04, § 257, 31 მაისი, 2013) საქმეზე სასამართლომ დაადგინა: „აპლიკანტის პოზიციაში მყოფ ნებისმიერ პირს შეუძლია წარმოადგინოს მსგავსი ბრალდებები. რეალურად, შეუძლებელია მსჯავრი დაედოს აპლიკანტის მსგავს ბრალდებულს, ფართოდ განჭვრეტადი პოლიტიკური შედეგების გარეშე“.

ა) დასაშვებობა

99. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი ევროკონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით არ არის აშკარად დაუსაბუთებელი. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საჩივარი არ არის დაუშვებელი არც სხვა საფუძველით. შესაბამისად, მას აცხადებს დასაშვებად.

ბ) არსებითი მხარე

1. ზოგადი პრინციპები

100. სასამართლო აღნიშნავს, რომ ევროკონვენციის მე-18 მუხლს არ აქვს ავტონომიური როლი. ის გამოიყენება კონვენციით გათვალისწინებულ არსებით მუხლებთან ერთობლიობაში. თუმცა, შესაძლებელია, რომ დადგინდეს ევროკონვენციის მე-18 მუხლის სხვა მუხლთან ერთობლიობაში დარღვევა, ისე რომ დამოუკიდებლად არ დგინდებოდეს ამ მუხლის დარღვევა. სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ევროკონვენციის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, დარღვევა შეიძლება დადგინდეს, თუ სახეზეა კონვენციით გათვალისწინებული უფლებისა თუ თავისუფლების შეზღუდვა (იხ. ზემოთ აღნიშნული საქმე: *Gusinskiy*, §§ 73 და 75; აგრეთვე, *Cebotari v. Moldova*, no. 35615/06, § 49, 13 ნოემბერი 2007). სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მთლიანი სტრუქტურა დამყარებულია იმ ზოგად მოლოდინზე, რომ წევრი სახელმწიფოების საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები საქმიანობას ახორციელებენ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით. სინამდვილეში, საჯარო პოლიტიკას ან ინდივიდუალურ ქმედებას შესაძლებელია ჰქონდეს „ფარული დღის წესრიგი“ და კეთილსინდისიერების პრინციპის პრეზუმფცია გახდეს სადავო. აპლიკანტმა რომელიც ამტკიცებს, რომ მისი უფლებები და თავისუფლებები შეიზღუდა შეუსაბამო საფუძვლით, დამაჯერებლად უნდა აჩვენოს, რომ საჯარო ხელისუფლების რეალური მიზანი განსხვავდება ხელისუფლების მიერ გაცხადებული მიზნისგან ან ზოგადი კონტექსტიდან შესაძლებელია გონივრული დასკვნების გაკეთება. უბრალო ექვი, რომ ხელისუფლებას, უფლებისა თუ თავისუფლების შეზღუდვისას, ამოდრავებდა კონვენციასთან შეუსაბამო მიზანი, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს დადგინდეს ევროკონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა (იხ. ზემოთ აღნიშნული საქმე: *Khodorkovskiy*, § 255). დამატებით, ბრალდებულის მაღალი პოლიტიკური სტატუსი არ ანიჭებს მას იმუნიტეტს სისხლისსამართლებრივ პროცესებთან და დაკავებასთან მიმართებით (იხ. ზემოთ აღნიშნული საქმე: *Lutsenko*, § 106).

101. როდესაც საჩივარი ეხება ევროკონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას, სასამართლო იყენებს მტკიცების კონკრეტულ სტანდარტს. შესაბამისად, ევროსასამართლო კონვენციის აღნიშნული მუხლის დარღვევას იშვიათად ადგენს. გუსინსკის საქმეზე (ზემოთ აღნიშნული §§ 73-78), სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის თავისუფლება შეიზღუდა, *inter alia*, ევროკონვენციის მე-5 მუხლთან შეუსაბამო მიზნით. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღო დაკავებულსა და მედიის ფედერალურ მინისტრს შორის ხელმოწერილი შეთანხმება, რაც თვალნათლივ ადასტურებდა, რომ აპლიკანტის დაკავებით მას აიძულეს მიეყიდა კუთვნილი სამაუწყებლო კომპანია სახელმწიფოსთვის. საქმეზე -

Cebotari v. Moldova (ზემოთ აღნიშნული, § 46), სასამართლომ ევროკონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან იკვეთებოდა, რომ აპლიკანტის დაკავება მჭიდროდ უკავშირდებოდა სასამართლოში განსახილველად წარდგენილ განაცხადს. საქმეზე - Lutsenko v. Ukraine (ზემოთ აღნიშნული §§ 108-09), დევნის ორგანოების მიერ აპლიკანტის დაკავება აშკარად მიანიშნებდა, რომ დაკავების ერთ-ერთი საფუძველი იყო აპლიკანტის მედიასთან კომუნიკაცია. მსგავსი დასაბუთება ცალსახად მიუთითებდა, რომ დაკავება გამოყენებულ იქნა წარდგენილ ბრალდებებთან დაკავშირებით საჯაროდ გამოხატული უარყოფისთვის ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად. საქმეზე - Tymoshenko v. Ukraine (ზემოთ აღნიშნული § 299), მთავრობის მიერ წარმოდგენილი დაკავების ფორმალური დასაბუთებიდან ირკვევა, რომ დაკავების რეალურ საფუძველს წარმოადგენდა აპლიკანტის მიერ სასამართლოს უპატივცემულობა, რომელიც, როგორც ამტკიცებდნენ, გამოიხატებოდა სასამართლო პროცესებზე აპლიკანტის ქცევით. საქმეზე - Ilgar Mammadov v. Azerbaijan (no. 15172/13, §§ 142-43, 22 მაისი 2014), სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის რელევანტური სპეციფიკური ფაქტობრივი გარემოების შეჯერების საფუძველზე, მტკიცების სტანდარტი დაკმაყოფილდა; რადგან აშკარა იყო, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების რეალურ საფუძველს წარმოადგენდა აპლიკანტის დადუმება ან დასჯა მთავრობის მისამართით გამოთქმული კრიტიკის გამო და მცდელობა, გაქარწყლებულიყო აპლიკანტის მოსაზრება, რომ მას ჰქონდა რეალური ინფორმაცია, რასაც მთავრობა მალავდა.

2. აღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

102. მოცემულ საქმეში, მომჩივანმა მოთხოვნა წამოაყენა ევროკონვენციის მე-18 მუხლის კონვენციის მე-5 მუხლის პირველ ნაწილთან ერთობლიობაში. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მომჩივნის წინასწარ პატიმრობაში დატოვებისას ხელისუფლების რეალურ მიზანს წარმოადგენდა მისი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორება. გამომდინარე იქედან, რომ სასამართლო საჩივართან მიმართებით ცალკე არ ადგენს ევროკონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევას (იხილეთ, პარაგრაფი 72-77), სასამართლო არ მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი გამორიცხავს მომჩივნის მოთხოვნის განხილვას, მისი დაკავების უკან, შეუსაბამო პოლიტიკური მოტივების არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც შესაფასებელია ევროკონვენციის მე-18 მუხლის ქრილში. (იხ. ზემოთ აღნიშნული: *Cebotari*, §49). სასამართლო დამატებით აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მიუთითებს მის წინა შეფასებაზე, რომ განმცხადებლის წინასწარ პატიმრობას აკლდა

დასაბუთება და დაირღვა ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი (იხ. პარაგრაფი §§ 89-92).

103. სასამართლო ითვალისწინებს განმცხადებლის ბრალდებების საერთო ფონს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით ხელისუფლების შეცვლიდან მალე, განმცხადებელს, რომელიც წარსულში იკავებდა მაღალ სახელმწიფო თანამდებობას, ბრალი წარედგინა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და სხვა კონკრეტული სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში. იგი დააკავეს და იქნა მსჯავრდებული. ბევრმა საერთაშორისო დამკვირვებელმა, მათ შორის უცხო ქვეყნების სხვადასხვა მაღალი რანგის პოლიტიკურმა ლიდერებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, გამოხატა შეშფოთება მომჩივნის მიმართ სისხლისსამართლებრივი პროცედურების გამოყენებისას შეუსაბამო, მალული პოლიტიკური მოტივების შესაძლო არსებობაზე (იხ. პარაგრაფი 47-54). სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიტიკურად აქტიური პიროვნების მიმართ კონვენციით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა - ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მისთვის ხელის შეშლის ან მონაწილეობის შეუძლებლობით, ყოველთვის უნდა იყოს განხილული ძალიან სერიოზულად, ადამიანის უფლებათა დაცვასა და დემოკრატიის ფუნქციონირებას შორის პირდაპირი კავშირის არსებობის გათვალისწინებით. ამგვარად, საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, მომჩივნის დაკავების შესახებ გადაწყვეტილება შეფასებული უნდა იქნას მის წინააღმდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი პროცედურებისა და მოცემულ პერიოდში მომჩივნის მაღალი პოლიტიკური სტატუსის გათვალისწინების ფართო კონტექსტში. ზოგადი მდგომარეობა უდავოდ მსგავსია ევროსასამართლოს მიერ განხილული საქმეებისა: ლუცენკოსა (იხ. ზემოთ § 104) და ტიმოშენკოს (იხ. ზემოთ §296) საქმის გარემოებებთან. თუმცადა, სასამართლო ვერ შეამოწმებს ევროკონვენციის მე-18 მუხლს დამოუკიდებლად მომჩივნის, როგორც ოპოზიციური ლიდერის მიმართ სავარაუდო პოლიტიკური მოტივით მსჯავრდების შესახებ. გამომდინარე იქედან, რომ პოლიტიკური და სასამართლო პროცესები არის ფუნდამენტურად განსხვავებული, სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება უნდა დააფუძნოს მტკიცებულებებზე სამართლებრივ კონტექსტში და შეფასებისას გაითვალისწინოს ინდივიდუალური საქმის რელევანტური და სპეციფიკური ფაქტობრივი გარემოებები. ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკოსის ადამიანის უფლებების შეუსაბამო მოტივებით შეზღუდვის დადგენისას, სასამართლო მხედველობაში ვერ მიიღებს პოლიტიკური ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებებსა და რეზოლუციებს, აგრეთვე საჯარო პირთა განცხადებებს. სასამართლომ თავისი შეფასება უნდა დააფუძნოს საქმის კონკრეტულ ფაქტებს.

(იხ. ზემოთ აღნიშნული საქმეები - *Ilgar Mammadov*, § 140; *Lutsenko*, § 108; და აგრეთვე *Khodorkovskiy*, § 259).

104. მოცემული საქმის გარემოებები გვავარაუდებინებს, რომ მომჩივნის დაკავებას ჰქონდა განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც სასამართლოს აძლევს საშუალებას განიხილოს საკითხი დამოუკიდებლად, ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ კონტექსტთან მიმართებით. საკითხის განსაკუთრებულობა მდგომარეობს, კერძოდ, 2013 წლის 14 დეკემბრის ინცინდენტთან დაკავშირებით, როდესაც განმცხადებლის მტკიცებით, ის გვიან ღამით გაიყვანეს ციხის საკნიდან მთავარ პროკურორთან და სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელთან - დ.დ-სთან შესახვედრად. აღნიშნულმა მაღალმა თანამდებობის პირებმა აპლიკანტის წინასწარი პატიმრობა გამოიყენეს, როგორც ბერკეტი, მიეღოთ მისგან ჩვენება მოცემულ საქმესთან დაუკავშირებელ გამოძიებასთან მიმართებით, ყოფილი პრემიერ მინისტრის გარდაცვალებისა და ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ არსებულ საქმეებზე (ზემოთ, იხ. პარაგრაფი 35). სავარაუდოდ, აპლიკანტის მიერ 2013 წლის 14 დეკემბრის ინცინდენტთან დაკავშირებით აღწერილი გარემოებები, ერთი შეხედვით საკითხის სათანადო შიდა გამოძიების არ არსებობის პირობებში, ჩანდა, რომ მტკიცდებოდა. აპლიკანტის მონათხრობი იყო განსაკუთრებით სანდო და დამაჯერებელი, რამდენადაც მან შეძლო მოვლენათა თანმიმდევრული და ზუსტი გახსენება, დრო, როცა მოხდა აღნიშნული შემთხვევა, პიროვნებები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ მასში, სხვადასხვა განმასხვავებელი დეტალები, რომელიც უკავშირდება განმცხადებლის ციხიდან გვიან ღამით გაყვანას და მის საუბრებს ო.პ-სთან და დ.დ-სთან. მან ინფორმაცია მიაწოდა ეროვნულ დონეზე შესაბამის თანამდებობის პირებს ინცინდენტის გარემოებებთან დაკავშირებით პირველივე შესაძლებლობისთანავე, ღიად დააფიქსირა თავისი მზადყოფნა გამოძიებასთან თანამშრომლობის და მოითხოვა მისი ბრალდებების დასადასტურებლად ციხის სათვალთვალო კამერებიდან ამოღებული მასალა შესაბამის ორგანოებს გამოეკვლია. უფრო მეტიც, აპლიკანტის მონათხრობი ფაქტები ნაწილობრივ დაადასტურა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსმა მაღალჩინოსანმა, ლ.მ-მ, რომელიც თანამდებობიდან გაათავისუფლა პირადად დ.დ-მ მის მიერ მიცემული მამხილებელი ჩვენების გამო.

105. დამატებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულების აშკარად ცხადი თავშეკავება, წარმოედგინათ ციხის სათვალთვალო კამერიდან შესაბამისი ვიდეო მასალა, რაც თავის მხრივ ნათელს მოჰფენდა ინცინდენტს. ზოგადად, სასამართლო აღნიშნავს, რომ პრემიერ მინისტრი,

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი და მთავარი პროკურორი აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ მომჩივნის მრავალგზის განცხადებას, აგრეთვე საზოგადოებისა და მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან მოწოდებას, დაწყებულიყო ობიექტური და საფუძვლიანი გამოძიება. მთავრობამ, სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტებით, ვერ უზრუნველყო 2013 წლის 14 დეკემბრის ინცინდენტის შესახებ დამაჯერებელი განმარტება, გარდა სასჯელაღსრულების მინისტრის მიერ შიდა დონეზე ჩატარებული ბუნდოვანი მოკვლევის შესახებ მითითებისა, რომლის თუნდაც მცირედი დეტალიც კი არ იქნა გაზიარებული სასამართლოსთვის. აღნიშნული საქმის ყველა კონკრეტული გარემოება სასამართლოს აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ ფაქტების ობიექტური შემფასებლის გადმოსახედიდან, აპლიკანტის მონათხრობი ინცინდენტთან დაკავშირებით მიჩნეულ უნდა იქნას, როგორც საკმაოდ ზუსტი და შესაბამისი რეალურ ფაქტთან (მაგალითად, მტკიცებულების მსგავსი სტანდარტის შესახებ განაცხადების მაგალითებისთვის - მაღალი დამაჯერებლობით დასკვნების გაკეთება მხოლოდ ირიბ მტკიცებულებაზე დაყრდნობით - ევროკონვენციის მე-18 მუხლის ჭრილში შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, იხ. ზემოთ აღნიშნული - Ilgar Mammadov, § 142; და Gusinskiy, § 76).

106. ზემოთ აღნიშნული დადგენილი ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ აპლიკანტის წინასწარი პატიმრობა გამოყენებული იყო არა მხოლოდ მომჩივნის შესაბამისი სამართლებრივი ორგანოების წინაშე წარსადგენად, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა თუ სხვა სისხლისსამართლებრივი დანაშაულების ჩადენის გამო გონივრული ეჭვის საფუძვლით, არამედ პროკურატურის მიერ გამოყენებული იქნა დამატებით შესაძლებლობად, მისგან მოეპოვებინა ჩვენება ყოფილი პრემიერ მინისტრის გარდაცვალების საქმესა და ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ფინანსური საქმიანობის შესახებ. წინამდებარე ორივე მიზანი სრულიად შეუსაბამოა ზემოაღნიშნული დებულების „გ“ ქვეპუნქტთან. დაკავების შესაძლებლობა არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც ბრალდებულზე მორალური ზეწოლის საშუალება (შეადარეთ, ზემოთ აღნიშნული საქმე: Gusinskiy, §§ 74-77 და აგრეთვე, Giorgi Nikolaishvili v. Georgia, no. 37048/04, §§ 57 და 58, 13 იანვარი, 2009).

107. შესაბამისად, დაირღვა ევროკონვენციის მე-18 მუხლი კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილთან ერთობლიობაში.

IV. კონვენციის მოთხოვნების სხვა შესაძლო დარღვევები

108. მომჩივანმა აღნიშნა, რომ ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი დაირღვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების ზეპირსიტყვიერად, შესაბამისი საფუძვლების მითითების გარეშე გამოცხადებით.

109. მხარეებმა ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით გაცვალეს არგუმენტები (ზემოთ, იხ., პარაგრაფი 80 და 81).

110. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივრის ეს ნაწილი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილთან მიმართებით განხილულ საკითხთან. შესაბამისად, ის უნდა გამოცხადდეს დასაშვებად. თუმცადა, სასამართლოს მიერ საკითხის არსებით ნაწილთან დაკავშირებით უკვე გაკეთებული მრავალმხრივი ანალიზის გათვალისწინებით (ზემოთ იხ., პარაგრაფი 89 და 92), სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის იმავე საკითხის ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის ჭრილში დამატებით და ცალკე განხილვის საჭიროება.

V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

111. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

ა) ზიანი

112. მომჩივანი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ითხოვდა 15,000 ევროს დაკისრებას.

113. მთავრობა აცხადებდა, რომ მოთხოვნა იყო გადაჭარბებული.

114. სასამართლო ეთანხმება, რომ მომჩივანს უნდა განეცადა სტრესი და ემოციური სირთულეები, ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის, ასევე ევროკონვენციის მე-18 მუხლის და მე-5 მუხლის პირველი ნაწილთან ერთობლიობაში დარღვევიდან გამომდინარე. მორალური ზიანი სათანადოდ ვერ ანაზღაურდება, მხოლოდ დარღვევის ფაქტის დადგენით. საქმის კონკრეტული გარემოებების

გათვალისწინებით, თანაბარ საწყისებზე შეფასების საფუძველზე, სასამართლო მომჩივანს ანიჭებს 4,000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

ბ) ხარჯები და დანახარჯები

115. მომჩივანი ითხოვდა სასამართლოში წარმომადგენლობის ხარჯებს, ბრიტანელი და ქართველი ადვოკატების მომსახურებისთვის (იხ. ზემოთ პარაგრაფი 2) გაწეული ხარჯების ანაზღაურებას 4,350 ბრიტანული ფუნტი სტერლინგის (GBP, EUR 5,600) და 39,390 ამერიკული დოლარის (USD, EUR 34,700) ოდენობით.

116. მომჩივანი ასევე ითხოვდა საფოსტო, სატელეფონო და სხვა სახის ადმინისტრაციული დანახარჯების სახით GBP 90 და USD 720 (120 და 634 EUR) ოდენობის თანხის ანაზღაურებას. აღნიშნული დანახარჯების დასადასტურებლად არ ყოფილა წარმოდგენილი შესაბამისი ქვითრები, ინვოისები თუ სხვა ფინანსური დოკუმენტები.

117. მთავრობა აცხადებდა, რომ შესაბამისი ფინანსური დოკუმენტების არქონის გამო, მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

118. სასამართლო აღნიშნავს, რომ ის არ არის შეზღუდული შიდა სამართლებრივი საფასურის ზღვრული ოდენობით (შკალით) და პრაქტიკით. შესაბამისად, სასამართლო თავისუფალია არ გაითვალისწინოს ეროვნულ დონეზე ადვოკატთა მომსახურების საათობრივი განაკვეთი, რომელიც გადამეტებული ჩანს (იხილეთ საქმე: ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ, #71503/01, § 206, ECHR 2004-II). მოცემულ საქმეში, სასამართლომ არ გაიზიარა მომჩივნის მოთხოვნა სრულად. მეტიც, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია აპლიკანტის ორი წარმომადგენლის სასარგებლოდ 4, 000 ევროს (თითოეულის მიმართ) დაკისრება.

119. რაც შეეხება სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ ხარჯებს, სასამართლო არ ეთანხმება მოთხოვნას მსგავს საკითხებზე კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის (იხილეთ, მაგალითად, საქმე: ღვთაძე საქართველოს წინააღმდეგ, #23204/07, §§ 118 და 120, 3 მარტი 2009), აგრეთვე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არ არის დოკუმენტურად ხარჯვის დამადასტურებელი საბუთი წარმოდგენილი.

გ) საურავი

120. სასამართლო თვლის რომ საურავი დაფუძნებული უნდა იყოს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთზე, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ამ მიზნით სასამართლო ერთსულოვნად:

1. აცხადებს, რომ განაცხადი დასაშვებია;
2. ადგენს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი არ დარღვეულა;
3. ადგენს, რომ 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებით ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი არ დარღვეულა;
4. ადგენს, რომ 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებასთან მიმართებით დაირღვა ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი;
5. ადგენს, რომ საჩივრის, ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით, დამატებით გამოკვლევის საჭიროება არ არსებობს;
6. ადგენს, რომ დაირღვა ევროკონვენციის მე-18 მუხლი მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილთან ერთობლიობაში;

7. ადგენს:

ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მომჩივანს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში, კონვენციის 44 § 2 მუხლის მიხედვით შემდგომი თანხები:

(ii) 4,000 EUR (ოთხი ათასი ევრო), დამატებული ყველა გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით მორალური ზიანის ასანაზღაურებლად;

(iii) 8,000 EUR (რვა ათასი ევრო), დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

ბ) ზემოთ ხსენებული სამი თვის ამოწურვიდან, გადახდამდე, აღნიშნულ თანხებზე გადახდილი უნდა იქნეს ჩვეულებრივი საპროცენტო განაკვეთი, რაც

გადაუხდელობის პერიოდში არსებული ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლია. აღნიშნულს უნდა დაემატოს 3 პროცენტი.

გ) უარი ეთქვას მომჩივანს სამართლიანი დაკმაყოფილების დარჩენილ ნაწილზე.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით ეცნობათ 2016 წლის 14 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77 § 2 და 3 მუხლების მიხედვით.

მარიალენა ცირლი

ანდრამ შაიო

განმწესრიგებელი

თავმჯდომარე